ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 იანვარი, 2023 №5 (9041) ფასი: 80 თეთრი

## ქალმა დანა 3-ჯერ ჩაარტყა — მოსკოვში ქართველი კაცი მოკლეს

გვ.5




# რატომ არ ტარდება სინოდის სხდომები და ირღვევა თუ არა კანონიკური სამართალი



ლელა ჯეჯელავა: „საპატრიარქო აბსოლუტურად იზიარებს ხელისუფლების პოლიტიკას და მათ ხაზს“





გვ.2

## „სააკაშვილი პატრიარქს ულოცავდა, ნაცმოძრაობა — ლანძღავდა“

გვ.3



ამირან სალუქვაძე: „ახალი ქართველი 200 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ გამოძერწა. არც სააკაშვილს გამოუვიდა“



## „დასავლეთმა რუსეთის დასჯა გადაწყვიტა“

სოსო ცინცაძე: „უკრაინამ ეს ომი უნდა მოიგოს. გაზაფხულის ბრძოლები გადამწყვეტი იქნება“



გვ.3

## „პუტინს დაუსჯელობის გრძნობა საქართველოს წინააღმდეგ ომში გაუჩნდა“



გვ.4

„საფრანგეთში რუსეთის ლობი ისევ არსებობს“

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

გვ.4

5 „34 წლის ასაკში მე-11 შვილის დედა გახდა“

2 დამრიგებლები ხელფასის გაზრდას ითხოვენ

5 იმერეთში ქმარმა ჯერ ცოლი მოკლა, მერე თავი მოიკლა

6 ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა...

1993230720223

# რატომ არ ტარდება სინოდის სხდომები და ირღვევა თუ არა კანონიკური სამართალი

## ლელა ჯეჯელავა: „საპატრიარქო აბსოლუტურად იზიარებს ხელისუფლების პოლიტიკას და მათ ხაზს"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

*– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებს? საშობაო ეპისტოლე საზოგადოებაში დიდი განხილვის საგნად იქცა. რამდენად პოლიტიზირებულია დღეს საპატრიარქო და რამდენად ერთი ერთში იზიარებს ხელისუფლების პოზიციას?*

– პირველ რიგში, თქვენს გაზეთს და თქვენს მკითხველს ვულოცავ შობა-ახალ წელს. რაც შეეხება საპატრიარქოსთან დაკავშირებულ მოვლენებს, ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, სახეზეა საბოლოოდ გაფორმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ბიზანტიური მოდელის, ანუ ძალაუფლების სიმფონიისა, როდესაც საერო და სასულიერო ხელისუფლება სრულ უნისონშია ერთმანეთთან. უკვე კარგა ხანია, რაც საპატრიარქოს ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს, რომ არ გადაუხვიოს იმ მაგისტრალურ ხაზს, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების შეფასებისას. მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომელიც აქვს ხელისუფლებას. ეს შესაბამისად ასახულია ხოლმე პატრიარქის სადღესასწაულო ეპისტოლეებში, რომლითაც ის მიმართავს საზოგადოებას, ეკლესიის მრევლს. მინდა გითხრათ, რომ ის მდგომარეობა, რაც კულტურულ მემკვიდრეობასთან ახლა შეიქმნა...

*– გელათს გულისხმობთ?*

– დიახ, სწორედ გელათთან დაკავშირებით, რომელიც არის ქართული სულიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო და საყრდენი. ეს რომ ყოფილიყო, თუნდაც წინა ხელისუფლების დროს, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ეკლესიის პოზიცია იქნებოდა გაცილებით უფრო მკაცრი, გაცილებით უფრო უკომპრომისო. დღეს კი ჩვენ ვხედავთ საპატრიარქოსაგან საჯაროდ აბსოლუტურ დუმილს, შემგუებლობას იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება. არ ვამბობ, რომ ეს შეიძლება იქ არ აწუხებდეთ, მაგრამ ის, რომ ამ წუხილს არ გამოხატავენ



საჯაროდ და მაქსიმალურად ცდილობენ, ნამუსი შეუნახონ ხელისუფლებას, ეს ფაქტია და ამაზე უკვე დავაც არ შეიძლება.

*– საშობაო ეპისტოლეში საერთოდ არ იყო ნახსენები რუსეთი და მათი აგრესია. რატომ?*

– სწორედ იმიტომ, რომ საპატრიარქო მიყვება იმ ხაზს, რომელიც აქვს ჩვენს ხელისუფლებას. თქვენ იცით, რომ ჩვენი ხელისუფლება მაქსიმალურად ერიდება რუსეთის კრიტიკას და ამას არ გაღიზიანების პოლიტიკა დაარქვეს, თუმცა არ გაღიზიანების პოლიტიკას კი არა, ეს უფრო ყრმობის პოლიტიკას ჰგავს. საპატრიარქოც ამ ხაზს მისდევს.

წინა ხელისუფლების დროს, საპატრიარქოს ეჭირა უფრო შუამავლის პოზიცია, ის რაღაცა პროცესებში ჩართული იყო და აქტიურად მონაწილეობდა.

*– წინა ხელისუფლების დროს ბევრად აქტიური იყო საპატრიარქო და პოზიციასაც ცალსახად აფიქსირებდა.*

– დიახ, ასე იყო ნამდვილად. საპატრიარქო ბევრად აქტიური იყო და თითქოს ჩანდა, რომ ამ დაძაბულ ურთიერთობაში მას კომუნიკაციის შენარჩუნების და პრობლემების გადაწყვეტის ხაზი ჰქონდა არჩეული.

*– დღეს რა ხდება?*

– დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს საპატრიარქო აბსოლუტურად იზიარებს ხელისუფლების პოლიტიკას და მათ ხაზს. შუამავლის როლი კი არ აქვს საპატრიარქოს, ჩვენ ვხედავთ პირდაპირ პროპაგანდას მღვდელმთავრების, ამბიონებიდან. ჩვენი საზოგადოება ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, მაგრამ გელათის და ჭყონდიდის მღვდელმთავრები, რუსეთის მიმართ ზედმეტად ლოიალურად არიან განწყობილნი. ჩვენი საპატრიარქო კი დუმილით და ამ გადაწყვეტილებებით ხელს უწყობს რუსული ინტერესების გატარებას როგორც საქართველოს ეკლესიაში, ისე მთელს ქვეყანაში.

*– ქალბატონო ლელა, ასევე საუბრობენ საპატრიარქოში არსებულ განხეთქილებაზე. ფაქტიურად სინოდიც გააუქმესო. ასევე თვალში საცემი იყო ორ სხვადასხვა ტაძარში ჩატარებული წირვა. რას იტყვით ამ ყველაფერზე?*

– მართალი გითხრათ, არ მაქვს ახსნა, პირველად ორ საკათედრო ტაძარში, თანაც დედაქალაქში, ცალ-ცალკე რატომ ჩატარდა წირვა და რის თქმა უნდოდა ამით ეკლესიას, ცოტა რთული სათქმელია. სინოდის სხდომას რაც შეეხება, შარშან სინოდის სხდომა საერთოდ არ ჩატარებულა, იმის წინ მხოლოდ ერთი სხდომა ჩატარდა. პრაქტიკულად ირღვევა მართლმადიდებლური ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომლის მიხედვითაც სინოდი უნდა ჩატარდეს წელიწადში ორჯერ. ძალიან რბილად რომ შევაფასოთ, ეს არის გადაცდომა. ხოლო ის განმარტება, რომელიც მოგვცა მეუფე ნიკოლოზმა ამასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე მღვდელმთავარი იკრიბება, შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებას მერე აფორმებს პატრიარქის ზეპირსიტყვიერი თანხმობა, ეს საერთოდ ამოვარდნილია რაიმე ტიპის სამართლებრივი დამოკიდებულებიდან. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ წმინდა სინოდში ყველა არის თანასწორი, მათ შორის, პატრიარქიც. სად აისახება იმ მღვდელმთავრების პოზიცია, რომლებიც ამ კულუარულ თათბირებში მონაწილეობას არ იღებენ?! ეს, რაც მეუფე ნიკოლოზმა თქვა, საერთოდ არანაირ კომენტირებას არ ექვემდებარება კანონიკური სამართლის თვალსაზრისით.

*– ქალბატონო ლელა, უკვე აშკარა და ღიაა საპატრიარქოში არსებული დაპირისპირება?*

– რომ გითხრათ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში ერთიანობა იყო ყოველთვის და ახლა არის ეს დაპირისპირება, ასე არ არის. იქ ყოველთვის იყო გარკვეული ჯგუფები, რომელსაც თავისი ინტერესები ჰქონდა, აქვს დღესაც და ეს ინტერესები უკავშირდება პოსტპატრიარქისეულ პერიოდს, მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ყველა ჯგუფს, რომელიც ახლა იქ არის, ამ რეალობის დარღვევისთვის არც სიმტკიცე ჰყოფნით, არც ნება და ჩემდა სამწუხაროდ, არც ღვთის რწმენა არ ჰყოფნით.

*– ქალბატონო ლელა, ასევე დიდი განხილვა მოჰყვა პატრიარქის წერილს, რომელიც მან მიხეილ სააკაშვილს მისწერა. საუბრობენ იმაზე, რომ ეს არ ჰგავდა პატრიარქის დაწერილ წერილსო.*

– ქართველი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა წერილი გაიგო ისე, როგორც გაიგო, რომ პატრიარქი ურჩევდა მიხეილ სააკაშვილს ახალ რეალობასთან შეგუებას. მეუფე ნიკოლოზმა კი გვითხრა, რომ არასწორად გავიგეთ, მაგრამ როგორ უნდა გაგვეგო სხვაგვარად, როდესაც სინათლე ამ საკითხში არავის შეუტანია. თავისთავად ის ფაქტი, რომ მძიმედ ავადმყოფი მესამე პრეზიდენტი არის დაპატიმრებული და მისთვის, როგორც ჩვენი, ასევე საერთაშორისო საზოგადოება ითხოვს კანონით დაშვებულ სასჯელის გადავადებას, რაც სხვა პატიმრებთან მიმართებაში არაერთგზის განხორციელებულა და არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის, ხოლო პატრიარქს ამ საკითხზე არც ერთი განცხადება არ გაუკეთებია, ხელისუფლებისთვის არ მიუმართავს მოწოდებით. არადა, სხვა შემთხვევებში ჩვენ გვახსოვს მისი გაცილებით შემწყნარებლური დამოკიდებულება. დღეს კი ამას ვერ ვხედავთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ჩვენ გავიგეთ სწორად პატრიარქის მიმართვა, რომ ახალ რეალობასთან შეგუება ნიშნავს იმას, რომ მას ან არ შეწევს ძალა შეცვალოს ეს რეალობა, ან არა აქვს ამისი სურვილი, თუნდაც შეეცადოს მაინც.

## დამრიგებლები ხელფასის გაზრდას ითხოვენ

მაღალი პასუხისმგებლობა და დაბალი ანაზღაურება, დამრიგებლები ხელფასის გაზრდას ითხოვენ. დამრიგებლის დანამატი მხოლოდ 80 ლარია. ეს თანხა კი ხშირად სატელეფონო ხარჯებსაც ვერ ფარავს, რადგან პედაგოგებს ყოველდღიურად უწევთ მშობლებთან კომუნიკაცია. რეგიონებში არსებობს ტრანსპორტირების პრობლემაც, სახელმწიფო არ აძლევს მასწავლებელს უფლებას, ისარგებლოს ტრანსპორტით, რომელსაც ბავშვები სკოლამდე მიჰყავს.

ხელფასის გაზრდის მოთხოვნით უკვე შექმნილია პეტიციაც, რომელსაც ათასობით მასწავლებელი აწერს ხელს, განათლების სამინისტროში ჯერ კიდევ აგვისტოში დამრიგებლებს შეჰპირდნენ, რომ ხელფასებს მოუმატებდნენ მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტროსთან გაივლიდნენ კონსულტაციას და ბიუჯეტი დამტკიცდებოდა.

შემდეგი წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, თუმცა მასწავლებლების ხელფასის მატება იქ ასახული არ არის. რაც ნიშნავს იმას, რომ განათლების სამინისტრომ პირობა პირობად დატოვა.

განათლების სფეროში პროტესტი უკვე დაწყებულია, პედაგოგები ამბობენ, რომ მათი მოთხოვნების შეუსრულებლობას დადებითი შედეგები არ მოჰყვება.

## მეუფე გრიგოლი: „იმედი მაქვს, არ დავუშვებთ შეცდომას, რაც შეიძლება გუშინ დაგვემართა"



– ვაპირებდი მიხეილ სააკაშვილის მონახულებას, მაგრამ ვერ მოხერხდა, კიდევ ვეცდები, – ამის შესახებ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) განაცხადა.

მეუფე გრიგოლი ამბობს, რომ „ვივა-მედში" კარანტინია გამოცხადებული:

– ვაპირებდი პატიმრების მონახულებას და მათ შორის, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც რეჟიმი შეიცვალა თუ რა არის, არ ვიცი, ვირუსების გამო არის თუ როგორ არის, ვერ მოხერხდა. გვითხრეს, რომ 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებთ პასუხს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ მოხერხდა. ვეცდები კიდევ. პირველ რიგში, უნდა გავერკვიო რა მოხდა, თუ რეგულაციებია, რომელიც უბრალოდ ობიექტურად არ იძლევა საშუალებას, გასაგებია, მაგრამ თუ რაღაც სხვანაირად იქნება, ვეცდებით, მაშინ კიდევ ერთხელ.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ, ადამიანები, მით უმეტეს, როცა ვთვლით, რომ უფრო მეტი ვიცით, მეტი გამოცდილება დაგვიგროვდა, მით უმეტეს, დიდი პასუხისმგებლობები გვაკისრია, ვეცდებით, რომ არ დავუშვათ ის შეცდომა, რაც შეიძლება გუშინ დაგვემართა, – განაცხადა მიტროპოლიტმა.

## ირაკლი ნადირაძე: „სააკაშვილს პუტინის დავალებით ციხეში კლავენ"

ინიციატივას, რომ შეიქმნას ე.წ. მაგნიტსკის აქტის ქართული ანალოგი, საკრებულოს დეპუტატი ირაკლი ნადირაძე მიესალმება.

ენმ-ს ნევრის თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, „ვინ კლავს მიხეილ სააკაშვილს".

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია და ეს მდგომარეობა დღითიდღე უფრო მძიმდება. ამ ქვეყანაში რომ სასამართლო სასამართლოს გავდეს, მისი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის გადაწყვეტილება დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო მიღებული.

მიხეილ სააკაშვილს პუტინის გეგმის შესაბამისად კლავენ ციხეში. გვარები და სახელებიც ცნობილია, თუ ვინ არიან ეს ადამიანები. შესაბამისად, რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს ამ სიაზე მუშაობა, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილი პუტინს და მის წარმომადგენლებს ამ ქვეყანაში განწირული ჰყავთ სასიკვდილოდ, – განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

მიხეილ სააკაშვილი ბრაუდერს ახალი მაგნიტსკის სიის შექმნაში დახმარებას სთხოვს.

## რუსეთი უკრაინაში შობაზე პროვოკაციებს ამზადებდა



უკრაინამ საშობაო დღესასწაული აღნიშნა. კიევო-პეჩორსკის ლავრაში წირვა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტმა ეპიფანემ აღავლინა.

ნამდვილად ისტორიული მომენტი იყო! აქამდე კიევო-პეჩორსკის ლავრაში წირვას მხოლოდ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია აღავლენდა

არსებობდა ინფორმაცია, რომ შობა დღეს რუსეთის აგენტურა როგორც კიევში, ისე უკრაინის სხვა ქალაქებში პროვოკაციებს გეგმავდა. კერძოდ, რუსები აპირებდნენ რიგი ტაძრების აფეთქებას, შემდეგ ამას უკრაინელებს გადააბრალებდნენ, აქაოდა „სატანური" ხელისუფლება მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოდისო. კიევში და სხვა ქალაქებში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული.

## პუტინი საშობაო წირვას მარტო დაესწრო



რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი საშობაო წირვას მარტო დაესწრო. რადიო „თავისუფლების" ცნობით, ტაძარს პუტინის დაცვამ ალყა შემოარტყა. წირვაზე პუტინის გარდა მხოლოდ მღვდელმთავრები იყვნენ.

ამერიკელი ექსპერტის ანდერს ასლუნდის აზრით, რუსეთის დიქტატორის ასეთი სიფრთხილე გასაგებია. პუტინს ტერაქტის ეშინია და წირვასაც მარტო დაესწრო, თან უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებიც მიიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დასავლეთმა რუსეთის დასჯა გადაწყვიტა“

## სოსო ცინცაძე: „უკრაინამ ეს ომი უნდა მოიგოს. გაზაფხულის ბრძოლები გადამწყვეტი იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს განიხილავს.**

***– ბატონო სოსო, რა პოლიტიკური მოლოდინი გაქვთ 2023 წელს. შეიძლება გარდამტეხი წელი იყოს უკრაინაში მიმდინარე ომის გათვალისწინებით?***

– მართლაც გარდამტეხი წელი შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ საქართველოსთვის, ზოგადად მსოფლიო ცივილიზაციისთვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი სამყარო დაიბადა. უკრაინის ომზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

დასავლეთი, როგორც იქნა, ნახევარი საუკუნის შემდეგ მიხვდა, რომ რუსეთი მისთვის საფრთხეა. რუსეთი საფრთხეა ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ეს არის გამოწვევები, რომელსაც რუსეთი უქმნის დასავლურ ცივილიზაციას.

50 წელი ეს არ ესმოდა დასავლეთს. ევროპა ფიქრობდა, რომ რუსეთი მას იაფ გაზსა და ნავთობს აძლევს და ეს საკმარისია, თან ნატო გვიცავს – დაახლოებით ასეთი წარმოდგენა ჰქონდა დასავლეთს რუსულ საფრთხეზე.

ძალიან ცნობილი ინგლისელი, ამერიკელი ანალიტიკოსები კითხვას სვამენ – რატომ არის ასეთი აგრესიული პუტინი? მას სხვა გზა არა აქვს. პუტინმა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან უკრაინა ნატოს წევრი სახელმწიფო გახდება და მის საზღვრებთან ნატოს მოახლოებამ ის დიდ საგონებელში ჩააგდო. პუტინი ფიქრობს, რომ ნატოს მოახლოება მის საზღვრებთან, ეს ყველაზე დიდი წყევლაა, რაც კი ოდესმე გაუგონია.

***– ევროკავშირის წევრი ქვეყნები გერმანია, საფრანგეთი უკვე მძიმე ტექნიკით ეხმარება უკრაინას. საფრანგეთმა ტანკები გააგზავნა.***

– გაზაფხულის ბრძოლები გადამწყვეტი იქნება. გაზაფხულის შეტევის მოლოდინშია ყველა. ეს იქნება მეორე მნიშვნელოვანი რაუნდი. პირველი რაუნდი პუტინმა პირწმინდად წააგო.

ცხადია, ვგულისხმობ რუსულ გაზზე ევროპის დამოკიდებულების საგრძნობლად შემცირებას.

***– ფონ დერ ლაიენმა გაზის ეკონომიაზე ისაუბრა.***

– დიახ. მხოლოდ იტალიამ 33 პროცენტის ეკონომია გააკეთა. გერმანიის, იტალიის გაზსაცავებში ბევრად მეტი გაზი აღმოჩნდა, ვიდრე პუტინი ელოდა. პუტინი ფიქრობდა, ევროპას ცივი ზამთრის, გაყინვის შეეშინდება, მობეზრდებათ უკრაინა და ზავით დასრულდებოდა ეს ყველაფერი. აქედან კი გაორმაგებული ძალებით გამარჯვებული თვითონ გამოვიდოდა. ეს გააცნობიერა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. აი, ეს ვერ გათვალა პუტინმა. ეს რაუნდი მართლაც წააგო ისე, რომ ვერც წარმოიდგენდა.

ახალი რაუნდი გაზაფხულზე იწყება. საფრანგეთმა, გერმანიამ, ესპანეთმა უკრაინას ტანკები გადასცა. ამერიკა „ბრედლის“ აძლევს. პენტაგონის წარმომადგენელმა ღიად განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე 50-ბრედლის გადასცემს უკრაინას და საჭიროების შემთხვევაში ამერიკას ეს სამხედრო მანქანა ათასობით აქვს და რამდენიც საჭირო იქნება, იმდენს გაუგზავნის. „ბრედლი“ მართალია ტანკი არ არის, მაგრამ როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, ტანკების მკვლელია.

პუტინის გათვლა, ცხადია, ასეთი არ ყოფილა. ის ფიქრობდა, რომ დასავლეთი დაიღლებოდა, რომ ყველას მობეზრდებოდა ომი და ომის მხარდაჭერა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც გითხარით, დასავლეთმა რეალური საფრთხე გააცნობიერა. ამიტომ გადაწყვიტეს არა რუსეთის დაშლა, ეს არავის არ აწყობს, არამედ, რუსეთის ისე დასუსტება, რომ არ ჰქონდეს ძალა, ვინმეს თავს დაესხას.

ცოტა ხნის წინ კისინჯერი გამოვიდა და განაცხადა, უკრაინის ნეიტრალიზაციაზე გარანტიებითო, მაგრამ რუსეთის გარანტიების არავის არ სჯერა. უკრაინამ ეს ომი უნდა მოიგოს. გაზაფხულზე ბევრი რამ ცნობილი გახდება. გაზაფხულის ბრძოლები, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი იქნება. თუ ამ შეტევებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიგებს უკრაინა, ჩათვალეთ, რომ ეს ომი მოგებული აქვს. ეს იქნება სამყაროს ცივილიზებული ნაწილის, დემოკრატიული ნაწილის გამარჯვება.

***– ეს გავლენას იქონიებს საქართველოზე?***

– რასაკვირველია. უახლოეს დღეებში მნიშვნელოვანი იქნება, სააკაშვილის საკითხი როგორ გადაწყდება. სასამართლო უსასრულოდ ვერ გაიწელება. სასამართლომ ან უნდა გამოუშვას, ან უნდა ციხეში გაუშვას.

***– სასამართლოს საბოლოო განაჩენის შემდეგ პრეზიდენტს ხელ-ფეხი ეხსნება.***

– ეს ნიშნავს, რომ სრული პასუხისმგებლობა, როგორ განვითარდება სააკაშვილის მდგომარეობა, მასზე იქნება. ღმერთმა დაიფაროს და თუ რამე მოხდა, ცოცხალ და მკვდარ კატას, ყველას ერთად, სალომე ზურაბიშვილს ჩამოკიდებენ.

***– ხელისუფლებაც?***

– ცხადია. ამიტომ, ყველა მიმართულებით სერიოზული, გარდამტეხი გაზაფხული გველოდება.

# „სააკაშვილი პატრიარქს ულოცავდა, ნაცმოძრაობა – ლანძღავდა“

## ამირან სალუქვაძე: „ახალი ქართველი 200 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ გამოძერწა. არც სააკაშვილს გამოუვიდა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

***– ბატონო ამირან, უკრაინაში მებრძოლები, ნაცმოძრაობის მხარდამჭერები ვიდეოს ავრცელებენ. ვიდეოში ნოდარ ყარალაშვილი და მისი მეგობრები იმუქრებიან, რომ აფხაზეთიდან ტანკებით შემოვლენ და ყველას პასუხს მოსთხოვენ, ყველას გადაუვლიან, საქართველოს მიწასთან გაასწორებენ და ახალს ააშენებენ. რა არის ეს, რატომ იმუქრებიან?***

– რა მოგახსენოთ, ისეთი რამ არსებობს, ნაცმოძრაობამ და სააკაშვილმა რაც არ იკადრა? ამ განცხადებაზე, ერთი მხრივ, სერიოზული მსჯელობა არ ღირს. მეორე მხრივ, არც გასატარებელია. ასეთი განცხადებები მათ მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას აზიანებს. თუკი ვინმეს მათ მიმართ სიმპათია გაუჩნდა, მსგავსი განცხადებებით, სააკაშვილისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას აზიანებენ.

თუკი ვინმეს შემთხვევით სიმპათია გაუჩნდა, იმ ხალხსაც კი, უარყოფითად განაწყობენ. უშუქობა, ნგრევა გაახმოვანეს. არა მგონია, ვინმეს ქვეყანაში მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება მოსწონდეს.

მეორე მხრივ, აზიანებენ იმ მოხალისეებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გულწრფელად იბრძვიან. მათ მიმართ მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს ცუდად განაწყობენ. ამიტომ არ მგონია, ასეთი განცხადებები მათთვის სასარგებლო იყოს.

სხვა დეტალები – კახელებისა და ღვინის შეურაცხყოფა, პირველი არ არის. მომგებიანი არც ეს არის. ასევე გაუგებარია აფხაზეთიდან ტანკებით შემოსვლა. რუსეთის მხრიდან ტანკებით როგორ უნდა შემოვიდნენ? აბსურდული განცხადებაა.

***– რაღაცის წამოცდენა ხომ არ არის?***

– მთელი როსტოვი და კრასნოდარი უნდა გამოიარონ. ღმერთმა ქნას, საქმე იქამდე მივიდეს, უკრაინამ თავისი ტერიტორიები დაიბრუნოს და ეგ განცხადება ვილას ემახსოვრება.

***– ასეთი განცხადება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე წამსვლელი არიან?***

– ახალი ქართველი 200 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ გამოძერწა. არც სააკაშვილს გამოუვიდა. მაგრამ მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს ტვინი კი აურია და შედეგებსაც ვიმკით. გარედან გაკეთებულ განცხადებებზე კომენტარის გაკეთება ნაკლებად მაინტერესებს, რადგან ყველაფრის თავი და თავი სააკაშვილი და მისი მოქმედი და თუ ყოფილი გარემოცვაა.

როგორც ვხედავთ, სააკაშვილის პარტიაში სხვადასხვა ინტერესები გამოჩნდა. თეა თუთბერიძის ვიდეო ვიხილეთ, რომელიც ვანო



მერაბიშვილს რუსეთზე მუშაობაში ბრალს სდებს. გამოდის, რომ სააკაშვილი 10 წლის განმავლობაში რუსეთზე მუშაობდა.

ვანო მერაბიშვილს ტყუილად არ უწოდებდნენ ნაცმოძრაობის კი არა, ლამის მთელი ქვეყნის ხერხემალს, რომელიც ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა. თუთბერიძე ამბობს, რუსეთზე მუშაობდაო. ეს ბრალდებები მათი წიაღიდან მოდის, ხედავთ, ნაცმოძრაობაში, შიგნით როგორი არეულობაა.

ამიტომ იმ მავნე ქმედებების თავი და თავი, რაც შიგნიდან და გარედან ხდება, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილია, ხოლო შემდეგ მისი მოქმედი და ყოფილი გარემოცვა.

***– რამდენიმე დღის წინ, გიული ალასანიაც იმუქრებოდა თავის ადვოკატებთან ერთად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, ყველას სამაგიეროს გადაგიხდითო.***

– ეს მართვადი პროცესია. ყველაფერი სააკაშვილისგან, მისი ოჯახისგან, მისი უახლოესი ყოფილი და მოქმედი გარემოცვიდან მოდის. დანარჩენები შემსრულებლები არიან. სააკაშვილის მმართველობის სიმწარე ვიგემეთ და ვიცით, ის ქართველ ხალხს როგორ ექცეოდა. ხვალ, ზეგ და მომავალშიც უკეთესს არაფერს უნდა ველოდოთ.

გიული ალასანია საკუთარი თავის იმედად რომ არ იმუქრება, ხომ გასაგებია. თუ რაიმეს შესრულების უნარი აქვს, გააკეთოს, მაგრამ ის, რაც გიული ალასანიამ თქვა, 10 წლის განმავლობაში ნაცმოძრაობის ჩვეული მუქარაა, 10 წელია იმუქრებიან, მოვა დრო და პასუხს აგებთ, ჩვენ დავბრუნდებით და პასუხს გაგებინებთო.

დღეს უუნაროები არიან, მაგრამ მაგრები არიან მაშინ, როცა ძალაუფლება აქვთ, შს სამინისტრო, კუდი და სოდი მათ ექვემდებარება.

***– ძალოვანი სტრუქტურები.***

– დიახ, მაშინ არიან მაგრები, როცა ყველაფერი ხელში უჭირავთ. მუქარაც შესაბამისია. ანუ ხელისუფლებაში რომ დაბრუნდებიან, მერე შეასრულებენ. მაგიტომ ვერ დაბრუნდებიან. იმის გააზრების უნარიც კი არ აქვთ, თუ გულში შურისძიება აქვთ ჩადებული, ხალხს მუქარით კი არა, ტკბილი სიტყვებით გული მოულბონ და, რომ დაბრუნდებიან, ხალხი რომ დააბრუნებს, შური მერე იძიონ.

***– ხალხი დააბრუნებს? საკითხავი ეგ არის.***

– მათ იციან, ხალხი არ დააბრუნებს. ამიტომ აქვთ გულში ჩადებული არეულობა და მძიმე სცენარები, ნებისმიერი მეთოდებით რევოლუციის მოწყობა. 10 წელია სხვას არაფერს ვუყურებთ. არც ერთ არჩევნებზე ამომრჩევლისთვის რაიმე სერიოზული პროგრამა არ წარუდგენიათ. არც უმუშავიათ. ხელისუფლებასთან საქმიანად დისკუსიაშიც არ შედიან.

შეიძლება ხელისუფლებასთან დისკუსიაში არ შეხვიდე, მაგრამ კვალიფიციურად, საქმიანად გააკრიტიკო და რაღაც უკეთესი იდეები შესთავაზო. ამის რესურსიც ამოეწურათ. მათი ყოფილი „რეფორმატორები“ ყველა სახეზეა, რაიმეს სერიოზულს ამბობენ, არაფერს.

იმიტომ არ საუბრობენ, იციან, არჩევნების გზით ვერ მოვლენ. ამიტომ ცდილობენ, მოაწყონ დესტაბილიზაცია შიგნიდან და დაზიანება გარედან. ამისთვის ყველაფერი კეთდება.

***– ცოტა ხნის წინ, სააკაშვილმა პატრიარქს დაბადების დღე მიულოცა. პატრიარქმა მას საპასუხო წერილი მისწერა და სულის სიმხნევე და სხვა რეალობასთან შეგუება უსურვა, ამან სააკაშვილის მხარდამჭერებში დიდი რეაქცია გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, რამ გააღიზიანა ეს ხალხი?***

– პირველ რიგში, უწიგნურობაა. უწიგნურობასთან ერთად ისაა, რომ როდესაც ნაცმოძრაობის ლიდერმა სააკაშვილმა პატრიარქს ალსაყდრების იუბილე მიულოცა, ფაქტობრივად, პარალელურ რეჟიმში მთელი ნაცმოძრაობა პატრიარქს თავს ესხმოდა.

აქაც რაღაც სულიერი დისონანსი აქვთ ქმედებებში. ვერ ჩამოყალიბდნენ. ელემენტარულ პატივისცემას მოითხოვს, როდესაც მათი ლიდერი პატრიარქს ულოცავს, მაშინ ლოგიკა მოითხოვს, პატრიარქი და საპატრიარქო არ ლანძღონ, თავს არ დაესხან, მაგრამ ლანძღვის ახალი ტალღა ვიხილეთ. ნაცებს კიდევ ახალი ტრენდი აქვთ, შობის 25 დეკემბერს აღნიშვნა.

ისე, არ ვიცი, სააკაშვილი როგორი ლიდერია, სულიერი თუ პოლიტიკური. თავმჯდომარეაო, არც საქართველოს მოქალაქეა, ამბობს, უკრაინელი ვარო და მაინც ნაცმოძრაობის ლიდერია.

რაც შეეხება პატრიარქის სურვილს, ნებისმიერ პატიმარს უნდა უსურვო სიმტკიცე და ახალ რეალობასთან შეგუება. ახალ რეალობაში თავისუფლების აღკვეთა იგულისხმება. ადამიანს თავისუფალი გადაადგილება შეზღუდული აქვს. ამას სერიოზული შეგუება სჭირდება.

განცხადებაში, საერთოდ, მინიშნებაც არ იყო იმაზე, რომ უნდა შეწყვიტოს საკუთარი უფლებების დაცვა სამართლებრივ ჭრილში, ან თუნდაც სამართლის ძიება, ასევე სამართლებრივ ჭრილში. საუბარი არ იყო იმაზე, შეეგუე და ბრძოლა შეწყვიტეო.

ყველას თავისი სიმართლე აქვს. სააკაშვილს თავისი სიმართლე აქვს, მართლმსაჯულებას თავისი და მოსახლეობას თავისი. სააკაშვილი თვლის, რომ უდანაშაულოა. არავის მოუწოდებია მისთვის საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება. საუბარია რეალობასთან შეგუებაზე. რეალობაა ის, რომ ადამიანი ოთხ კედელშია.

***– როგორც ჩანს, პატიმრობას ვერ ეგუება და ასე გაიგეს.***

– ყველა ისე იგებს, როგორც სურს. უბრალოდ, რაღაც პრობლემის გამოჩხრეკა უნდოდათ და გამოჩხრიკეს. სინამდვილეს გადაატრიალებენ, იქიდან იმას ამოიღებენ, რაც უნდათ და იმ თემით მათთვის მომგებიანი პოზიციიდან აჟიტირება მიდის.

## უკრაინამ რუსების ტყვეობიდან კიდევ 50 მებრძოლი გაათავისუფლა

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრეი ერმაკი წერს, რომ რუსული ტყვეობიდან კიდევ 50 უკრაინელი ჯარისკაცი გაათავისუფლეს.

– ტყვეთა მორიგი წარმატებული გაცვლა. ჩვენ დავაბრუნეთ სახლში 50 ჩვენი ჯარისკაცი. ესენი არიან უკრაინის შეიარაღებული ძალების, ჯარების, ეროვნული გვარდიის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურისა და საზღვაო ძალების ბიჭები, – წერს ერმაკი.

მისივე თქმით, გათავისუფლებულთა შორის – 33 ოფიცერი, 17 რიგითი და სერჟანტია.

– ჩვენ ვაბრუნებთ ადამიანებს, რომლებიც ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ჩავარდნენ ტყვედ, ასევე მარიუპოლის დამცველებს, ბიჭებს დონეცკიდან, ბახმუტიდან, ასევე კიევის რეგიონიდან, ჩერნიგოვის რეგიონიდან, ხერსონის რეგიონიდან და სხვა რეგიონებიდან. ბრძოლა გაგრძელდება, – წერს ერმაკი.

ერმაკმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არ არის ბოლო ტყვეთა გაცვლა და „მათი ამოცანაა, დააბრუნონ ყველა ადამიანი და ეს შესრულდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე:

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

„ვჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან... და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში" (კოლ.1.13)

დგება ჟამი გამოუთქმელი სიდიადისა!

იშვება ქრისტე, ირღვევა სიბნელის საკვრელნი, „ჩრდილნი უკუმსვლელობენ და ჭეშმარიტება შემოდის სინათლის დასამკვიდრებლად".

როგორ შეხვდებით მას? გვექნება მონდომება და მზაობა იმისა, რომ ჩვენც ქრისტესთან ერთად თანავიშვათ, რათა თანაჯვარს ვეცვათ, თანადავიფლათ, თანააღვდგეთ და მასთან ერთად ვიყოთ მარადიულად?

ეს ურთულესი კითხვაა და მასზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენი ცხოვრების აზრის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია.

ფაქტია, ჩვენი მუდმივი ადგილი ამქვეყნად არ არის. ჩვენ ამ ქვეყნისთვის არა ვართ გაჩენილნი; უხრწნელად შევიქმენით და ამ მდგომარეობასვე უნდა დავუბრუნდეთ. ეს აუცილებლად მოხდება ჩვენი ამ ქვეყნიდან გასვლით, ოღონდ ჩვენი თავისუფალი ნებისა და ღვთის ნების თანხვედრაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება შემდგომი ჩვენი ხვედრი.

ჩვენი ნება ხორციელდება ჩვენი სულით, გულით, გონებითა და სიტყვით ამიტომაც მათზე ზრუნვა განსაკუთრებულად გვმართებს.

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა სინდისი.

სინდისი ღვთის ხმაა. მას ვერ დაიმორჩილებ, შენი სურვილისამებრ ვერ განაწყობ, ბოლომდე ვერც აღმოფხვრი; პირიქით, თავის მყოფობას მაშინაც გვაგრძნობინებს, როდესაც ვცდილობთ, გავექცეთ, თუმცა ისეც ხდება, რომ მუდმივი უგულვებელყოფით, მისი ხმა სუსტდება და აღარ გვესმის. არსებობს მდგომარეობაც, რასაც „დამწვარი სინდისი" ჰქვია და ადამიანის უმძიმეს სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებს.

ქრისტიანული რწმენა და მცნებები ჩვენში სინდისის ხმის სიძლიერისა და მართებულობის ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელია და ჩვენი სულის სწორად განვითარების შესაძლებლობაა, რადგან სინდისი ჩვენს ნებას ღვთის ნებასთან აკავშირებს.

„ვერავინ ვერ დადებს სხვა საძირკველს, გარდა უკვე დადებულისა, რომელიც არის იესო ქრისტე. ხოლო თუ ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე – ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, შეშას, თივას, ჩალას, – თითოეულის საქმე გამომჟღავნდება... ცეცხლით გამჟღავნდება და ცეცხლითვე გამოიცდება, ვინ რას აკეთებს (1 კორ. 3, 11-13).

გული ცენტრია ჩვენი სიცოცხლისა, ჩვენი ცხოვრებისა;



ღვთის შიში, გრძნობათა მთელი სამყარო და უფალთან ერთობის სურვილი მასში მყოფობს.

გონება კი გვეხმარება შევიცნოთ გარესამყარო და დავძლიოთ ჩვენი დაცემული ბუნება.

ცოდვისგან ადამიანის გული, გონება და სული თავისუფლდება ლოცვით, მარხვით, მლვიძარებითა და განსაცდელებით; ამიტომაც არ უნდა შეგვეშინდეს პრობლემების. სიბრძნეც გვასწავლის: „კეთილდღეობა შეიძლება უბედურებაზე საშიში იყოს და უბედურება – კეთილდღეობაზე მეტად მაცხოვნებელი."

თუ სწორად ვცხოვრობთ, ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება, მისი შეწევნა კი შეიძლება მოვიდეს იქ და მაშინ, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდით.

❖ ❖ ❖

ადამიანი განსაკუთრებული არსებაა, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად; საიდუმლოებით მოიცავს როგორც მაკრო, ისე მიკრო სამყაროს და შესაქმის გვირგვინად და მეფედ არის დადგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამმა და მისმა შთამომავლობამ, საღვთო ღირსებებთან ერთად, უკეთურ ძალთა თვისებებიც შეიძინა და ბოროტის გავლენის ქვეშ მოექცა, შემოქმედმა მაინც არ მიგვატოვა;

კაცთა განსწავლა ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა წინასწარმეტყველთა და მსაჯულთა მიერ, სიტყვითა და რჯულით, ასევე, ომებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით... ბოლოს კი იუდას შტოში, იესეს მოდგმაში, დავითის სახლში, დაიბადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, – საღვთო აღმშენებლობის მთელი ისტორიის თავის თავში მომცველი.

უფლის მოწყალებით მან მიიღო მადლი, – ეშვა შემოქმედი, რათა ადამიანის ბუნება განღმრთობილიყო და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი სასწაული აღსრულებულიყო.

მოციქული ბრძანებს: „ამიერიდან აღარა ხართ მონა, არამედ შვილი, ხოლო თუკი ძე ხარ, მაშინ ქრისტეს მიერ ღმერთის მემკვიდრეც" (გალ.4.7).

ასეთი განსაცვიფრებელი სიდიადის თანაზიარია ადამიანი; ასეთი დიადია თითოეული თქვენგანი!

და თუ თქვენ ცხოვრობთ ქრისტიანულად სადიდებლად ღვთისა და მსახურებად მოყვასისა, არა აქვს მნიშვნელობა, მეცნიერი ხარ, პოლიტიკოსი, ექიმი, მშენებელი, გლეხი, სპორტსმენი, პედაგოგი, მძღოლი, ჯარისკაცი თუ სხვა, შენი საქმიანობა ღვთისმსახურებად შეგერაცხება და ეს იქნება შენი ოქრო, გუნდრუკი და მური უფლისთვის მირთმეული და გაიხარებ ორსავ სოფელსა შინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთიანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი" (გალატ.6,2), – მოგვიწოდებს წმინდა წერილი.

❖ ❖ ❖

მოდის მაცხოვარი, რათა გაგვათავისუფლოს ურწმუნოებისაგან და ჩვენს უმნიშვნელოვანეს კითხვებს გასცეს პასუხი, უბოძოს კაცობრიობას ცათა სასუფევლის ცოდნა და სამართალი, ყველაფერს დაუბრუნოს მარადიულობა და იხსნას იგი სიკვდილისა და ხრწნილებისაგან, „რადგან კეთილ ინება მამამ, რომ მასში (ქრისტეში) დამკვიდრებულიყო მთელი სავსება და მისი საშუალებით შემოერიგებინა ყოველი" (კოლას.1,19-20)

ყველას და, პირველ რიგში, უკრაინის ომის მძიმე შედეგებით დათრგუნულ და დაზარალებულ ბავშვებს, საერთოდ ნებისმიერ მოზარდს, მინდა, მივულოცო ქრისტეშობის დიდებული ზეიმი; მივულოცო იგი ყველა ტვირთმძიმესა და მაშვრალს, რადგან ეს დღესასწაული აღმატებულია ნებისმიერ განსაცდელზე, ჰმეტობს თითოეული ჩვენგანის ტკივილს და იმედით გვავსებს.

ჩემო სულიერო შვილებო, საქართველოს მკვიდრნო და უცხოეთში მყოფნო თანამემამულენო, სულიერად წარვემართოთ ბეთლემისაკენ, რათა მწყემსებთან ერთად ვადიდოთ ყრმა იესო, მოგვებთან ერთად შევწიროთ ძღვენი – ოქრო, გუნდრუკი და მური და ანგელოზებთან ერთად ვუგალობოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება."

ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დალოცოს საქართველო!

ინებოს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ჩვენზეც აღსრულდეს წმინდა დავით მეფის სიტყვები:

„ნეტარ არს ხალხი, ვისთვისაც ღმერთი არის უფალი, ხალხი, – მისდა სამკვიდროდ გამორჩეული" (ფსალ. 32.12).

თქვენთვის მლოცველი,

**ილია II**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

**თბილისი, შობა ქრისტესი 2023 წელი**

# „პუტინს დაუსჯელობის გრძნობა საქართველოს წინააღმდეგ ომში გაუჩნდა"

მარიამ მჭედლიშვილი

**მსოფლიოში მყარად იკიდებს ფეხს მოსაზრება, რომ უკრაინაში პუტინის შეჭრა განაპირობა მის მიმართ მეტისმეტად რბილმა დამოკიდებულებამ საქართველოზე თავდასხმის შემდეგ და ამაზე სათანადო რეაქციის უქონლობამ. რომ არა პუტინის დაუსჯელობა საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის ომის გამო, უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი არ იქნებოდა, — მიაჩნია ფრანგ ისტორიკოსს ფრანსუაზა ტომს, რომელსაც ესაუბრა ჩეჩენი ისტორიკოსი მაირბეგ ვაჩაგაევი. ინტერვიუ რუსულენოვანი რადიო თავისუფლების ჩრდილოეთ კავკასიის სამსახურმა გამოაქვეყნა.**

***– პუტინის წასვლის შემდეგ მოსალოდნელია თუ არა პუტინის ეპოქის დასასრული?***

– ერთი მხრივ, ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ბელადის წასვლა ან გარდაცვალება იწვევს დიდ რყევებს. სტალინის სიკვდილს მოჰყვა რეფორმები და რყევები, მაგრამ თვითონ სისტემა შენარჩუნდა. იქნება თუ არა ამის მსგავსი რამ პუტინის წასვლის შემდეგ? რეაქცია, შესაძლოა, ძალიან ძლიერი იყოს შიდა დაპირისპირებებისა და ურთიერთსიძულვილის გამო, რომელიც დაგროვდა ქვეყანაში პროპაგანდის შედეგად. ამან შეიძლება გამოიწვიოს დესტაბილიზაცია რუსეთში. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ პუტინის გარემოცვა, რომელიც სარგებელს ნახულობს არსებული სისტემიდან მაშინ, როცა მთელი რუსეთი ღარიბდება, ძალიან შიშობს, რომ მოუწევს ფასის გადახდა იმის გამო, რაც ჩაიდინა პრეზიდენტმა. ამ გარემოცვას დესტაბილიზაცია არ სურს. მგონია, რომ ეს წრე შეეცდება მოაწყოს თავისებური „პოტიომკინისეული დეპუტინიზაცია", რათა გადაარჩინოს საკუთარი ხელისუფლება. მაგალითად, შეუძლიათ ციხიდან გამოუშვან ნავალნი, შეამცირონ ცენზურა და ა. შ. მაგრამ იქნება სისტემის თავის ფუნდამენტში დატოვების მცდელობა.

***– თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი ლავრენტი ბერიას მიეძღვნა. საბჭოთა მოღვაწეებიდან ვლადიმერ პუტინს ვის შეადარებთ?***

– მიმაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინში ძალიან ძლიერია ჩეკისტური მეთოდები და პიტერის (პეტერბურგის) ქუჩური მენტალიტეტი. ვიტყოდი, რომ ასაკში პუტინი უფრო ბანდიტური პეტერბურგისკენ იხრება.. ჩემთვის პუტინი, პირველ რიგში, უნიჭო საბჭოთა „აპარატჩიკია", რომელიც ზევით ახტა და აბსოლუტური ძალაუფლებით გაირყვნა.



**„საფრანგეთში რუსეთის ლობი ისევ არსებობს"**

***– თავისი საქმიანობა პუტინმა 1999 წელს დაიწყო ომით ჩეჩნეთში. მოგვიანებით იყო 2008 წელი (ომი საქართველოში), 2014 წელი (ყირიმის ანექსია, სირია). ამჟამად მიმდინარეობს ომი უკრაინაში. პუტინი მართლა მიიჩნევს, რომ ძლიერი არმია ჰყავს თუ დარწმუნებული იყო, რომ არავინ გაასამართლებს?***

– ამ კითხვას ორ ნაწილად გავყოფ. რატომ იყენებდა პუტინი ომს ინსტრუმენტად თავიდან ხელისუფლებაში მოსასვლელად, შემდეგ – ხელისუფლების შესანარჩუნებლად? პასუხი ნათელია – მას სძულს დემოკრატია რუსეთში და მან ის მოგუდა. ესე იგი, გრძნობს, რომ მისი რეჟიმი მოკლებულია ლეგიტიმურობას. ამიტომ იგი ვალდებულია, მუდმივად წარმოაჩინოს რალაც საგარეო პოლიტიკური წარმატებები, რათა მიჩქმალოს საშინაო პრობლემები. მეორე შეკითხვაა – რატომ ჰგონია პუტინს, რომ ყველაფერი შერჩება? პასუხი მარტივია: მას ყველაფერი გასდიოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში: ჩეჩნეთში ომიც, საქართველოს წინააღმდეგ ომიც, შემდეგ – ყირიმი. მას ეგონა, რომ მომავალშიც ასე იქნებოდა, რომ დასავლეთი ისეთივე უპრინციპოა, როგორც თვითონ. ვერ შეუგნია, რომ დესპოტი და თვითმპყრობელია, ვერ უგებს დემოკრატიულ საზოგადოებებს, არ ესმის საზოგადოებრივი აზრის როლი, ვერ გაუცნობიერებია, რომ საკმარისი არაა მოისყიდო გერჰარდ შრიოდერი ან სხვა ლიდერი იმისთვის, რომ ქვეყანა აკონტროლო. დღეს რეაგირება შეუძლიათ დასავლეთის იმ წარმომადგენლებსაც, ვისაც პუტინი უპრინციპოდ და გამყიდველად მიიჩნევდა. ისინი ასე რეაგირებენ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ. მათ დაივიწყეს საკუთარი ინტერესები (ნავთობი, გაზი) და დათანხმდნენ, გაწირონ კეთილდღეობა პრინციპებისათვის. პუტინის აზროვნებაში ისიც არ ზის, რომ უკრაინელები მზად არიან დაიხოცონ უკრაინისათვის. შეიძლება ითქვას, რომ პუტინი ჩეკისტური მსოფლმხედველობის მსხვერპლია, საიდანაც ვერ გამოდის, ვინაიდან უაღრესად ვიწრო პარანოიდული თვალსაწიერი აქვს. პუტინს, უბრალოდ, არ შეუძლია რეალობის დანახვა.

***– 1999 წლის ომი ჩეჩნეთში თქვენთვის მოულოდნელობა იყო თუ თვლიდით, რომ რუსეთი 1996 წლისთვის რევანშს აიღებდა?***

– პუტინი ომის გარეშე ზევით ვერ აცოცდებოდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა დემოკრატიული რესურსი.

***– ეს პუტინის პირადი გადაწყვეტილება იყო თუ ეს გადაწყვიტეს ჩრდილოვანმა ფიგურებმა, რომლებიც მას ომისკენ უბიძგებდნენ?***

– იქ ჯგუფი იყო. პუტინი წარმოადგენდა ამ ჯგუფის პაიკს. დიდ როლს თამაშობდა ბორის ბერეზოვსკი, პუტინის უკან ძალოვნები იდგნენ. ბერეზოვსკის მიერ კონტროლირებადმა მედიამ პუტინს შეუქმნა ძლიერი, მაგარი ლიდერის იმიჯი უკვე ასაკოვანი ელცინის საპირწონედ. ომი იყო პუტინის სარეკლამო კამპანიის ნაწილი.

***– ეთანხმებით თუ არა ცალკეული ექსპერტების მტკიცებას, დასავლეთს ჩეჩნეთის მიმართ სხვა პოზიცია რომ დაეკავებინა, არ იქნებოდა შემდგომი ომები?***

– რასაც თქვენ ამბობთ, პირველ რიგში, ეხება საქართველოს. მაშინ 2008 წლის ომზე მეტი რეაქცია რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, რომ არ იქნებოდა ომი უკრაინაში. ომმა საქართველოს წინააღმდეგ პუტინს დაუსჯელობის გრძნობა გაუჩინა.

***– რატომ კონტაქტობს ასე აქტიურად საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი პუტინთან?***

– ჯერ ერთი, საფრანგეთში ძალიან ძლიერი იყო რუსული ლობი. ახლა ის შესუსტებულია, მაგრამ მაინც არსებობს. რასაკვირველია, ეს არის მმართველი პარტიის პრორუსული ლობის გავლენა. მეორეც, მაკრონი რაციონალური ადამიანია. მას ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება იმოქმედო არარაციონალური მიზეზებით. დასავლეთის ლიდერებს ეგონათ, რომ რუსეთი უკრაინაში ომს არ გააჩაღებდა, ვინაიდან ეს არარაციონალურია. ბევრ ადამიანს ვერ გაუგია შურისძიების წყურვილი, რომელიც პუტინს ძლიერად აქვს განვითარებული.

მგონია, რომ ამ ომის მთავარი მოტივი უკრაინის დასჯა და მისთვის ანგარიშის გასწორებაა ვიქტორ იანუკოვიჩის დაცემის გამო. აქამდე მაკრონი პუტინთან საუბრებით ცდილობდა გონივრულობით აპელირებას. ეგონა, რომ მას ხმას მიაწვდენდა. ეს იყო ამ ადამიანების ფსიქოლოგიის ცოდნის დეფიციტი.

## უკრაინა იმპერიული წარსულისაგან თავისუფლდება



უკრაინა იმპერიული წარსულისაგან თავისუფლდება. ხარკოვში აიღეს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ტიხონოვის ძეგლი. ქალაქ დნეპრში დემონტირებულ იქნა ფსევდო-გმირის მატროსოვის ძეგლი.

განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსი მეცნიერის მიხეილ ლომონოსოვის ძეგლის დემონტაჟმა დნეპრში. როგორც ცნობილია, ლომონოსოვი ამტკიცებდა, რომ არავითარი უკრაინელი ერი არ არსებობს, უკრაინული ენა კი რუსულის დიალექტია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს




ბათუმში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 29 წლის მამაკაცი დაჭრეს. დაშავებული ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა გადაიყვანა.

როგორც კლინიკაში აცხადებენ, ახალგაზრდა მამაკაცს ოპერაცია ჩაუტარდა. მათივე თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მიმდინარეობს მონიტორინგი.

„ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, რომ ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შემთხვევა გორგასლის ქუჩაზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცებს შორის ურთიერთდაპირისპირება პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხს მოჰყვა.

## გურჯაანში ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა

გურჯაანში ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა.

შემთხვევა ახაშენი-გურჯაანის დამაკავშირებელ გზაზე რამდენიმე საათის წინ მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და საპირისპიროდ მოძრავ სატვირთო მანქანას დაეჯახა.

შედეგად მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.




## ათენში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს



საბერძნეთში, ათენში, საქართველოს მოქალაქე დაჭრეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟერად მძიმეა.

მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, როგორც დაჭრილის ოჯახის ახლობლები ამბობენ, საქმეში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები ჩაერთნენ და გაეწია შესაბამისი დახმარება.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეს ყველა შესაბამისი პროცედურა უტარდება, ექიმები კი ყველაფერს აკეთებენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ამ დრომდე ეძებს პოლიცია საქართველოს მოქალაქის დაჭრაში ბრალდებულს, სავარაუდოდ, პაკისტანის მოქალაქეს, რომელიც მიმალვაშია.

## გიული ალასანია: „მიხეილ სააკაშვილი სუსტად არის, სასამართლოზე დასწრებას ვეღარ შეძლებს“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას განცხადებით, სააკაშვილი 9 იანვარს დაგეგმილ სასამართლო პროცესზე დასწრებას ვერ შეძლებს. აღნიშნულის შესახებ ალასანიამ კლინიკა „ვივამედიდან“ გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, ყოფილი პრეზიდენტი სუსტადაა.

– არ მგონია, ახლა შეძლოს, ასეთი განწყობა ჰქონდა ნამდვილად, მაგრამ სუსტად არის, გუშინწინდელი ეპიზოდის შემდეგ, ახლა ვეღარ შეძლებს. დისტანციურიც მძიმეა. მთელი „მენდელეევის ტაბულა“ აქვს სხეულში ადამიანს და ვიდრე დეტოქსიკაცია არ მოხდება, მოწამლულია და რა გასაკვირია, – განაცხადა ალასანიამ.

ცნობისთვის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლების საკითხზე პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 9 იანვარს, 12:00 საათზეა დანიშნული.

## უფიქსირდება მკერდის ძვლის მოტეხილობა, ფილტვის დაჟეჟილობა — როგორია ლიფტის ჩავარდნის შედეგად დაშავებულის მდგომარეობა




ლოტკინზე სამსართულიან კერძო სახლში ლიფტის ჩავარდნის შედეგად დაშავებული 3 ადამიანიდან ერთის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა. ახალგაზრდა კაცი პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაშია და ექიმები მის გადარჩენას ცდილობენ.

„ორი პაციენტიდან ერთ-ერთი პაციენტის ახლობლების დაჟინებული მოთხოვნით გადაყვანილია სხვა კლინიკაში. მეორე მოთავსებულია ქირურგიულ განყოფილებაში. უფიქსირდება მკერდის ძვლის მოტეხილობა, ფილტვის დაჟეჟილობა. ამ ეტაპზე მდგომარეობა სტაბილურია და გრძელდება მკურნალობა და მონიტორინგი. შემოიყვანეს ორივე სიმაღლიდან ვარდნით, მკერდის ძვლის მრავლობითი მოტეხილობა ჰქონდა ერთს“ – ამბობს ექიმი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

## ქალმა დანა 3-ჯერ ჩაარტყა — მოსკოვში ქართველი კაცი მოკლეს

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. შემთხვევა რესტორან „თბილისში“ მოხდა.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „ფორმულა“ ავრცელებს.

გავრცელებული ცნობით, 50-წლამდე კაცს, რომელიც რესტორანში მზარეულად მუშაობდა, თანამშრომელმა ქალმა დანა 3-ჯერ ჩაარტყა. შემთხვევას წინ შელაპარაკება უძღოდა.

სავარაუდო დამნაშავე პოლიციამ უკვე დააკავა.






## ბაკურიანის გზაზე ერთმანეთს რამდენიმე მანქანა შეეჯახა

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ბაკურიანის გზაზე, პატარა ცემთან ერთმანეთს რამდენიმე მანქანა შეეჯახა. შეჯახება, სავარაუდოდ, მოყინულმა გზამ მოიწვია. არსებული ინფორმაციით, დაზიანებულია პოლიციის მანქანაც.

შსს-ს ინფორმაციით, შეჯახების შედეგად არავინ დაშავებულა.

## ლიზა ქისტაურის ცხედარს დაზიანებები არ აღენიშნება



ბელგიის პროკურატურის ინფორმაციით, ბელგიაში გარდაცვლილ ტრანსგენდერ ქალს, ლიზა ქისტაურს აუტოფსია ჩაუტარდა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ გარდაცვლილს ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა. რა გახდა ქისტაურის გარდაცვალების მიზეზი, უცნობია.

ბელგიაში საქართველოს საელჩომ, ლიზა ქისტაურის გარდაცვალება გუშინ, 6 იანვარს დაადასტურა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ საკონსულო მუდმივ კონტაქტზეა გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან და ადგილობრივ სამართალდამცავებთან.

## მოკლულია პოლიციელი — ვინ არის მკვლელი და რა აკავშირებდა გარდაცვლილთან

თბილისში მკვლელობა მოხდა. „კურიერის“ ინფორმაციით, მოკლული პოლიციის თანამშრომელია. მკვლელობის ფაქტზე დაკავებულია ერთი პირი, რომელიც შსს ყოფილი თანამშრომელია.

„რუსთავი 2-ის“ ინფორმაციით, მოკლული და დაკავებული მეგობრები და თანამშრომლები იყვნენ, დაკავებულმა სამინისტრო რამდენიმე თვის წინ დატოვა და კადრების განკარგულებაში იყო.




შსს ინფორმაციით, დაკავებულია ერთი პირი და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო.

## იმერეთში ქმარმა ჯერ ცოლი მოკლა, მერე თავი მოიკლა

იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი ნახეს. არსებული ინფორმაციით, ქმარმა ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია დანაშაულის იარაღი, რომელიც გარდაცვლილ მამაკაცს ეკუთვნის. შსს-ის ინფორმაციით, გამოძიება 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

*საზოგადოება*

## ამინდი გაუარესდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 9-12 იანვარს საქართველოში მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება, აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან ძლიერი თოვა.

სააგენტოს ცნობით, 10-12 იანვარს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, ზემო იმერეთში, კოლხეთის დაბლობსა და გორი-სურამის გზის მონაკვეთზე დროგამოშვებით იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძალიან ძლიერი ქარი (32-34 მ/წმ). საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე შესაძლებელია ნისლი, ქარბუქი, ხილვადობის გაუარესება, ლიპყინული, ელექტროგადამცემ ხაზებზე შემოყინულობა.

გარემოს ეროვნული სააგენტო ასევე აცხადებს, რომ 10-11 იანვარს ღამის საათებში დასავლეთ საქართველოს დაბლობში ჰაერის ტემპერატურის -3, -5 გრადუსამდე მოსალოდნელმა დაწევამ, შესაძლოა, ციტრუსოვანი კულტურების (განსაკუთრებით ლიმონის) დაზიანება, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი ტემპერატურის -8, -10 გრადუსამდე დაწევამ თოვლის საფარის გარეშე დარჩენილი საშემოდგომო ნათესების დაზიანება გამოიწვიოს.

## „34 წლის ასაკში მე-11 შვილის დედა გახდა“ — კლინიკა „ბომონდი“ სასიხარულო ინფორმაციას ავრცელებს

ქალს მე-11 შვილი შეეძინა. ინფორმაციას კლინიკა „ბომონდი“ ავრცელებს.

– ისეთი ამბავი უნდა მოგიყვეთ, სადღესასწაულო განწყობას კიდევ უფრო რომ აამაღლებს კლინიკა „ბომონდში“ დედას მე-11 შვილი შეეძინა. მარეხ ბაზაევი მე-11 შვილის დედა 34 წლის ასაკში გახდა. მარეხს 6 ვაჟი და 5 გოგონა ჰყავს. მე-11 შვილი კი ვაჟია.

ამბობს, რომ მეუღლე დედისერთა ჰყავს, რის გამოც გადაწყვიტეს, მათ შვილებს ბევრი დედმამიშვილი ჰყოლოდათ.

– 17 წლის მყავს უფროსი შვილი. ბაღდათში ვცხოვრობთ. უფროსები მეხმარებიან, რაც შრომას მიადვილებს. რა თქმა უნდა, რთულია მრავალშვილიანი დედობა. მადლობა მინდა გადავუხადო კლინიკა „ბომონდს“, მის გუნდს და ჩემს ექიმს, მარინა ჯიმშელეიშვილს. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, – ამბობს მარეხ ბაზაევი.

მრავალშვილიან დედას კლინიკისგან სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

*კალეიდოსკოპი*

### ეშლი ოლსენი ჩუმად გათხოვდა



ამერიკელი მსახიობი და დიზაინერი ეშლი ოლსენი მალულად გათხოვდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობის რჩეული გახდა 33 წლის მხატვარი ლუი ეისნერი. წყვილის ურთიერთობა 2017 წელს დაიწყო.

ანონიმური წყაროს ინფორმაციით, საქორწინო ცერემონია 28 დეკემბერს ლოსანჯელესში კერძო სახლში გაიმართა. ცნობილია, რომ დახურულ ღონისძიებას 50-მდე სტუმარი ესწრებოდა.

### ცირკში წარმოდგენის დროს ლომი მომთვინიერებელს თავს დაესხა



რუსეთის ქალაქ სოჭში ცირკში მიმდინარე წარმოდგენის დროს ლომი თავს დაესხა თავის მომთვინიერებელ ალექსეი მაკარენკოს. ამის თაობაზე ინფორმაცია ტელეგრამ-არხზე საკუთარ გვერდზე მომთვინიერებელმა ედგარ ზაპაშნიმ გამოაქვეყნა.

მისი თქმით, ინციდენტის მიზეზი არენაზე მყოფ ლომებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი გახდა, მომთვინიერებელი ორი ლომის გაშველებას შეეცადა, მაგრამ ამ დროს მას მესამე ლომი დაესხა თავს.

მაკარენკოს მისი მეუღლე ოლგა ბორისოვა მიეხმარა და მტაცებელი ცხოველი მოაშორა. ზაპაშნის თქმით, მაკარენკო მართალია დაშავებულია, თუმცა სათანადო სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ ის მალე შეძლებს თავის სამუშაოს დაუბრუნდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა...




ლევ ტოლსტოი წერდა, რომ რუსი ადამიანი შინაგანად მონაა. მისი მსოფლმხედველობა ჩანს შემდეგ სიტყვებში: რაკი მთავრობამ ბრძანა, ე.ი. ასეა საჭირო. ამავე დროს ტოლსტოი იმასაც ამბობს, რომ ზოგჯერ ეს მონა ჯაჭვს აიწყვეტს და მაშინ ვაი უბედურებას. სტეპან რიაზინის ან ემელიან პუგაჩოვის აჯანყებები ამისი ნათელი დადასტურებაა.

გასული წლის მარტში რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. უმრავლესობას სჯეროდა, რომ კიევს სამ დღეში აიღებდნენ. ეს არ გამართლდა. ომი გაჭიანურდა. რუსების დანაკარგმა უკვე 109.000-ს გადააჭარბა. ამან მოსახლეობის განწყობილების ცვლილებაც განაპირობა. რუსების 57% უკრაინასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების მომხრეა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის აქტიურ პროტესტს ადგილი არ ჰქონია.

მეხი მოულოდნელად გავარდა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მაკეევკასთან (დონეცკის მახლობლად) უკრაინელებმა რუსების ყაზარმა გაანადგურეს. დაიღუპა 400 ოკუპანტი. ასეთი ცნობა უკრაინულმა მედიამ გაავრცელა. მოსკოვი ამას არ დაეთანხმა. მსხვერპლი მხოლოდ 68 ჯარისკაცით შემოიფარგლებოდა. რუსულმა საზოგადოებამ ესეც მდუმარედ მიიღო.

ამან ხელისუფლება გაათავხედა. მოსკოვში პუტინის რეჟიმმა მიტინგი მოაწყო. ექსცესებიც აქედან დაიწყო. მათი დაწყების მთავარი ბიძგი რუსეთის თავდაცვის მინისტრის შოიგუს გამოსვლა გახდა. ის სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ დაიღუპა 68 მეომარი და ომის პირობებში ეს ნორმალურია. პასუხად გაისმა სტვენა და ყვირილი:

– რას ცრუობ, შენი დედა...

გაოცებული შოიგუ შედგა. სტვენა კი სულ უფრო ძლიერდებოდა. მინისტრიც იძულებული გახდა, სცენიდან ჩამოსულიყო და იქაურობა დაეტოვებინა.

მიტინგი კი სტიქიურად გაგრძელდა:

– დაღუპულია არა 68, არამედ 400 ჯარისკაცი! სად არიან შოიგუს ან პუტინის შვილები? რატომ ისინი არ იბრძვიან?! – გაჰყვიროდნენ აღელვებული ორატორები.

ამრიგად, პროსამთავრობო მიტინგი ანტისამთავრობოში გადაიზარდა. თუმცა საქმე ამით არ შემოიფარგლა. სტიქიური მიტინგები გაიმართა სანკტ-პეტერბურგში, კუიბიშევში და რუსეთის სხვა ქალაქებში. ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ:

– ძირს ომი! ძირს პუტინი!

შეშინებულმა ხელისუფლებამ „შეცდომა“ შეასწორა. ხმამაღლა ითქვა, რომ დაღუპულია 118 რუსი მეომარი; ამან საზოგადოება ვერ დაამშვიდა. მაშინ ხელისუფლებამ დაღუპულთა რაოდენობა 300-მდე აიყვანა. რტრ-ის ეთერში აჩვენეს შეშინებული შოიგუ, რომელიც როსტოვში სამხედროებისათვის განკუთვნილ ჰოსპიტალს ეწვია. მინისტრმა დაჭრილი რუსი ჯარისკაცები საგანგებოდ მოინახულა და საჩუქრებიც გადასცა.

# ბაიდენი სკეპტიკურადაა განწყობილი



როგორც ცნობილია, რუსეთის დიქტატორი პუტინი გამოვიდა ინიციატივით, რომ დონბასში შობაზე დროებითი ზავი დაიდოს. აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ამას სკეპტიკურად მოეკიდა.

აშშ-ის პრეზიდენტი თვლის, რომ რუსეთის არმია როგორც ჭურვების, ისე სხვა იარაღის ნაკლებობას განიცდის. საგრძნობია დანაკარგები რუს ჯარისკაცებს შორის. მხოლოდ ბახმუტთან ომის დაწყებიდან დღემდე 70 000 რუსი ჯარისკაცია მოკლული.

აშშ-მ მიიღო უკრაინისადმი სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი. ის 3 მლიარდი დოლარის ღირებულებისაა. მასში შევა: HIMARS ტიპის დამატებითი სარაკეტო სისტემები, HUMVEE-ის ბრონემანქანები, MRAP-ის ტიპის ბრონემანქანები მინების საწინააღმდეგო თავდაცვით, Sea Sparrow-ის ტიპის საზენიტო რაკეტები, M2 Bradley-ის ტიპის მსუბუქი ტანკები.

# აშშ-ის კონგრესმა სპიკერი აირჩია

როგორც ცნობილია, ამერიკელ რესპუბლიკელთა ლიდერი კევინ მაკარტი კარგა ხანს კონგრესის სპიკერი ვერ გახდა. რესპუბლიკელთა უმრავლესობა აღშფოთებულია. ისინი მომხდარში მათივე პარტიის 20 წევრს, ე.წ. ტრამპისტებს ადანაშაულებენ.

აშშ-ის კონგრესმა ბოლოს და ბოლოს სპიკერის არჩევა მოახერხა. ეს პოსტი კევინ მაკარტის ერგო. მან მცირე უპირატესობით დაამარცხა დემოკრატი ჯეფერისი.

# უკრაინამ რუსების წინადადება უარყო

როგორც ცნობილია, რუსეთის დიქტატორმა პუტინმა წამოაყენა წინადადება, რომ შობაზე რუსეთ-უკრაინას შორის დროებითი დაზავება მოხდეს. უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ ეს ოფიციალურად უარყო. უკრაინის გენშტაბის ცნობით, რუსი ოკუპანტები ცდილობენ სოლედართან რუსული არმიის კონცენტრაციის გაძლიერებას. სოლედარზე გენერალური შეტევა მზადდება. ამისათვის აუცილებელია მშვიდობიანი შესვენება. რუსეთმაც შობაზე დროებითი ზავის დადება მოითხოვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## მეზღვაურებმა ბერმუდის სამკუთხედში „გემი მოჩვენება“ აღმოაჩინეს

მეზღვაურებმა ბერმუდის სამკუთხედში „გემი მოჩვენება“ აღმოაჩინეს, რომელზეც არავინ იმყოფებოდა და მის ნაპირამდე მიყვანას შეეცადნენ.

ორი იახტსმენი, რომლებიც ოკეანის კვლევის პროექტში მონაწილეობენ, ატლანტის ოკეანეში მიტოვებულ იახტას გადააწყდნენ. მკვლევრებმა შენიშნეს, რომ მისი იალქნები დაშვებული იყო, ძრავა არ მუშაობდა და მის გემბანზეც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანდა. იმით შეწუხებულებმა, რომ შესაძლოა მასზე დაშავებულები ყოფილიყვნენ, მეზღვაურებმა იახტაზე გადასხდომა გადაწყვიტეს.

ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა მეთ რუზერფორდმა ყველაფერი ვიდეოზე გადაიღო.

– ეს შესაშინებელი მიტოვებული იალქნიანი ხომალდი იყო, სახელწოდებით Wolfhound. არ ვიცი, იქ რა არის. ახლა სანახავად მივალ და, იმედი მაქვს, რომ იქ ცხედრებს არ გადავაწყდები, – განაცხადა მან:

მიტოვებულ იახტაზე გადასული რუზერდორფი თავდაპირველად შიშობდა კარებისა და კარადების გახსნას. იქაურობის დათვალიერების შემდეგ მან განაცხადა: „მიცვალებულები არ არიან, მადლობა ღმერთს. ეს სრული სიგიჟეა. 1,2 ათასი კილომეტრი ბერმუდიდან, 2,4 ათასი – აშშ-დან. შუა ოკეანეში ვიმყოფებით იახტა Swan 48-ზე.

მეზღვაურებმა გადაწყვიტეს, მიტოვებული იახტა თავიანთი იახტისთვის ჩაებათ და ნაპირისკენ წაეყვანათ.

– ეს საინტერესოა, 14 და 12-მეტრიანი იახტები. მის ბერმუდამდე მიყვანას შევეცდებით, – აღნიშნა მკვლევარმა.

ოკეანეში გატარებული 47 დღის შემდეგ მეზღვაურებს საწვავი ელეოდათ და მათ ის შემხვედრი სატვირთო გემის ეკიპაჟს სთხოვეს. რუზერდორფი და მისი თანამგზავრი საიდუმლოებით მოცული იახტის გადაყვანას აგრძელებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მათ ბაგირის, რომლითაც მიტოვებული იახტა ჰყავდათ ჩაბმული, გადაჭრა მოუხდათ, ვინაიდან ის საჭეზე დაეხვია და კინაღამ მოგლიჯა.



ონლაინმაძებრებმა დაადგინეს, რომ იახტა ირლანდიის სამეფო იახტკლუბის წევრ ალან მაკგეტინგანს ეკუთვნოდა. რუზერდოფის მიერ მის პოვნამდე ორი თვით ადრე ის სერიოზულად დაზიანდა ქარიშხლის დროს. მაკგეტინგანი იძულებული გახდა, საავარიო შუქურა გაეაქტიურებინა და ეკიპაჟმა იახტა დატოვა. კაპიტანი და მისი ეკიპაჟი ბერძნულმა სატვირთო ხომალდმა გადაარჩინა ბერმუდიდან 100 კილომეტრში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

„სანოტარო ბიუროში გახსნილია სამემკვიდრეო საქმისწარმოება 2021 წლის 13 ივნისს გარდაცვლილი გარიკ დავიდოვის დანაშთ ქონებაზე. გარიკ დავიდოვის სამკვიდროს მისაღებად მისმა მემკვიდრეებმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართონ ნოტარიუს ზაალ ზაქარაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე – ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №47“.

სპორტი

# დეშამს კონტრაქტი გაუხანგრძლივეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დიდიე დეშამს კონტრაქტი გაუხანგრძლივა. განახლებული ხელშეკრულების თანახმად, ფრანგი სპეციალისტი მშობლიური ქვეყნის მთავარ გუნდს 2026 წლამდე უხელმძღვანელებს.

დეშამმა საფრანგეთის ნაკრები 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა. ფრანგი სპეციალისტის ხელში მამლებმა ევროპირველობაზე (2016) და მსოფლიო ჩემპიონატზე (2022) ვერცხლის მედლები აიღეს, 2018 წელს კი, მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

შეგახსენებთ, რომ წინა რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს ზინედინ ზიდანი ჩაიბარებდა, თუმცა, როგორც ჩანს, სიტუაცია შეიცვალა.

თავად მწვრთნელმა კი, წლევანდელი მუნდიალის ფინალში არგენტინასთან წაგებული მატჩი მთლიანად ფეხბურთელებს გადააბრალა.

**დიდიე დეშამი:**

– ძირითადი შემადგენლობის 4-5 ფეხბურთელი ფიზიკურად მზად არ იყო. იყო ემოციური ფონიც, რადგან რამდენიმე ფეხბურთელისთვის პირველი ფინალი იყო. საათი დაკარგული ვიყავით, შემდეგ თამაშში დავბრუნდით. თუმცა, ფაქტი ის არის, რომ 11 ფეხბურთელიდან მინიმუმ ხუთი, ასეთი მატჩის დონეს არ შეესაბამებოდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# ნანიკო ხაზარაძე ქმარს გაშორდა



ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე მეორე მეუღლეს – ლევან მათითაშვილს გაშორდა.

ინფორმაცია ამის შესახებ ნანიკომ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– მეც შევაჯამებ წელს, წელს კი არა 10 წელს.

ძალიან უცნაური ურთიერთობა დასრულდა, თან ზუსტად ისე დასრულდა, როგორც დაიწყო.

მართლა არ ვიცი, როდის და როგორ დაიწყო, არც ის ვიცი, როდის შევხვდი პირველად, არც ის ვიცი, როდის დავიწყეთ ერთად ცხოვრება, არ ვიცი!

არც ერთი თარიღი არ ვიცი, არც ერთი!

ვიცი მხოლოდ, ბევრი ვიბრძოლეთ და ვიბრძოლე ამ ყველაფრისთვის.

არც ახლა ვიცი, როდიდან და როგორ არ ვართ ერთად. მხოლოდ ერთი რამე ვიცი ზუსტად, ჩვენი შეხვედრა აუცილებელი იყო, თუ რატომ, ეს ორივემ კარგად ვიცით და არ ვიცოდით მაშინ, მხოლოდ ვგრძნობდი მე და ამას სულ ვეუბნებოდი ლევანს, ვეუბნებოდი, რომ ის ძალიან შეიცვლებოდა, დავნიძლავდით კიდეც. ალბათ ამიტომაც დავიწყეთ ურთიერთობა დიდი წინაღობის მიუხედავად.

ჩვენ ფოტოც კი არ გვაქვს, სადაც ის ან მე ვკოცნით ერთმანეთს, ან თუნდაც ვეხუტებით.

ლევანის მშობლები, მგონი, შარშანწინ გავიცანი. არც ქორწილი, არც გაცნობა, არც არაფერი. ლევანი დეიდაჩემს და დეიდაშვილებს ახლაც კი არ იცნობს. მართლა უცნაურია.

არა და, არა და, არა და... იყო და არა იყო რა.

აბა შენ იცი ლევან, კარგი სპეციალისტი ხარ და გააგრძელე ხალხის დახმარება.

ლევან, თეა. წარმატება ახალ საქმეში.

აბა მე ვიცი...

ქუჩაში გოგონამ მლანძღა და მომაძახა – ამიტომაც გაგექცა ქმარიო.

ამიტომ ვწერ, კიდევ რომ არ მომაძახოთ.

ამით ვასრულებ წელს და გაურკვევლობას.

# რეჟისორი გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი გარდაიცვალა



ცნობილი რეჟისორი, სცენარისტი და მხატვარი გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისი ოჯახის წევრებმა გაავრცელეს.

ხელოვანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა და თეატრალური ინსტიტუტში ისწავლა. სხვადასხვა დროს იყო ტელევიზიის კინორეჟისორი, მუშაობდა დიდი ბრიტანეთის ტელევიზიის მე-4 არხზე, გადაღებული აქვს ფილმები „პრემიერა“, „ექსპერიმენტი“, „მთვარის გლობუსი“, „ვეძებთ მარჯორის და ოლივერს“...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## პრინცი ჰარი ნარკოტიკებს იღებდა, ხოლო უმწიკვლობა ხანშიშესულმა ქალმა დააკარგვინა



სასექსის ჰერცოგმა პრინცმა ჰარიმ აღიარა, რომ 17 წლის ასაკში ნარკოტიკებს მოიხმარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა პრინცის ავტობიოგრაფიულ წიგნზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ამას ჩემთვის მხიარულება არ მოუტანია და არც ბედნიერად მიგრძნია თავი, – წერს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში პრინცი ჰარი.

ამავე დროს, საკუთარ მემუარებში სათაურით „სათადარიგო“ პრინცმა თავის პირველ სქესობრივ ურთიერთობაზე ისაუბრა. სასექსის ჰერცოგის აღიარებით, მან უმწიკვლობა 17 წლის ასაკში ხანშიშესულ ქალთან დაკარგა. წიგნში პრინცი ქალის ვინაობას არ ამხელს.

წყვილს სქესობრივი კავშირი ერთ-ერთი პაბის მახლობლად ჰქონდა. ჰარი იმ დღეს არცთუ სიამოვნებით იხსენებს და მას უწოდებს: „დამამცირებელი ეპიზოდი ასაკოვან ქალთან, რომელსაც მაჩო მოსწონდა და ისე მექცეოდა, როგორც ახალგაზრდა ულაყს“.

– ყველაფერი სწრაფად მოხდა. ზევიდან მოვექეცი, შემდეგ კი მან უკანალზე ხელი მომიტყაპუნა და მითხრა, რომ მეყოფოდა. ჩემი მთავარი შეცდომა ადგილის შერჩევა იყო, ხალხით სავსე პაბის უკან, მინდორში, უეჭველია ვილაც შეგვნიშნავდა, – წერს პრინცი ჰარი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლევან მაისაშვილი: „სამუშაო კიდევ ბევრია და ჯერ არაფერი დასრულებულა“

საქართველომ უელსთან ბოლო 5 წელიწადში მეოთხედ ითამაშა და მეტოქე პირველად დაამარცხა. თუ 2017 წელს „ბორჯღალოსნებს“ მცირედი დააკლდათ ფრესთან, 2019 წლის მსოფლიო თასზე და 2020 წლის შემოდგომის ერთა თასზე, „დრაკონებმა“ პირწმინდად დაგვჩაგრეს. თანაც ისე, რომ ყველა კომპონენტში უპირატესობა ჰქონდათ, მათ შორის შერკინებაშიც. თუმცა, ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის – უელსთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს უკვე ყველა პატივს სცემს.

**ლევან მაისაშვილი:**

– რაც მწვრთნელობა დავიწყე, ნაკრების მუშაობას მუდამ ვაკვირდები. 2016-19 წლებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ვიყავი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს ყოფილა ჩვენი მუშაობა ისეთი სისტემური, როგორიც ახლაა. სწორედ ეს მაძლევდა იმედს, რომ სწორი მუშაობით შედეგი აუცილებლად დადგებოდა და ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვართ. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ უკეთესი შედეგები გვექნება.

2019 წლის მსოფლიო თასზე გვყავდა შერკინების ტიტულოსანი გენერალი გრეემ როუნთრი, რომელსაც უმაღლეს დონეზე თამაშისა და მუშაობის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა. თუმცა, ყველამ ვნახეთ, იაპონიაში რა შედეგიც გვქონდა. მსოფლიო თასის შემდეგ ამ პოზიციაზე ორი ფრანგი სპეციალისტი გავსინჯეთ – - ალექსანდრე კასტოლა და საფრანგეთის ნაკრების შერკინების ყოფილი მწვრთნელი სებასტიან ბრუნო. სახელები და ტიტულები ბევრი მინახავს, მაგრამ ფაქტია, ამ პერიოდებში შერკინებაში შედეგი არ გვქონდა.



ილია მაისურაძეს ეროვნულ გუნდთან მუშაობა მსოფლიო თასის შემდეგ შევთავაზეთ. მაშინ 20 წლამდე ნაკრებში ვალდებულება ჰქონდა. საბოლოოდ ყველაფერი ისე დალაგდა, რომ ილომ მუშაობა მაინც ჩვენთან დაიწყო. რატომ შევაჩერეთ არჩევანი ილია მაისურაძეზე? – 6 წლის განმავლობაში არ ყოფილა გუნდი, რომლის შერკინებას ილოს გაწვრთნილმა შერკინებამ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატებზე თუ სხვა ტურნირებზე თავზე არ გადაუარა. ამ სფეროში ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს, ასევე თავდაჯერებულობა და საკუთარ პოზიციას მუდამ არგუმენტირებულად იცავს. ყოველთვის მქონდა და მაქვს მისი ნდობა, და შედეგიც სახეზეა.

2020 წლის შემოდგომის ერთა თასზე, როდესაც ჩვენი შერკინების მწვრთნელი ბრუნო იყო, უელსთან 6-ჯერ დავჯარიმდით, ორი წლის შემდეგ კი, იმავე გუნდთან თამაშის ბედი სწორედ შერკინებამ გარდატეხა და ამ წარმატებაში ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. ამ პერიოდში ძალიან ბევრი ბურჯი გამოვცადეთ. ნიკა აბულაძეს, რომელიც სანაკრებო სივრცეში 2020 წელს შემოვიყვანეთ, გარკვეული დრო დასჭირდა, რათა საერთაშორისო სტანდარტის მოთამაშე გამხდარიყო და ასეა სხვების შემთხვევაშიც.

ეს არის პროცესი და ზუსტად ვიცოდი, რომ თავიდან წარუმატებელი თამაშები გვექნებოდა. ჩვენ კიდევ ძიების პროცესში ვართ, რასაც დრო სჭირდება. ერთი შეხედვით, საფრანგეთის ტოპ 14-სა და პრო დე 2-ში 60-მდე ქართველი ბურჯია, მაგრამ მათი ნაწილი საერთაშორისო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, ნაწილი ასაკშია, ნაწილი ახალგაზრდაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შერკინება მხოლოდ ბურჯები და პირველი ხაზი არაა. ასაწყობი გვქონდა მეორე ხაზი, სადაც ახალგაზრდა ბიჭები შემოვიყვანეთ. იგივე ნოდარ ჭეიშვილი ახლა ბევრად უკეთესი მოთამაშეა, ვიდრე 2018-19 წლებში იყო და ესეც შრომისა და მოთმინების შედეგია.

ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი რესურსი და გეგმები. ნოემბრის ტესტებს თუ გადავხედავთ, გაუმჯობესება გვქონდა დერეფანშიც და მოლშიც. დაცვის მოლი მტკიცე და შეუვალი იყო. უელსთან გამარჯვებამ თავდაჯერებულობა მოგვცა, თუმცა სამუშაო კიდევ ბევრია და ჯერ არაფერი დასრულებულა.

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის პირველი ნახევარფინალისტი მეგა გახდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა რუსთავთან 14-ქულიანი მარცხის შემდეგ რევანში კაკტუსს აუღო და ნახევარფინალის საგზური გაინაღდა. მეგამ ჯგუფური თამაშები დაასრულა, მაგრამ, ბოლო შეხვედრაში რა შედეგიც არ უნდა დაფიქსირებულიყო, მეორე ადგილის ქვემოთ აღარ ჩამოვიდოდა. ეს უპირატესობა მეგას კაკტუსთან დამაჯერებელმა – 18-ქულიანმა გამარჯვებამ მოუტანა.



ფავორიტად კაკტუსი მიიჩნეოდა, რომელმაც სუპერლიგის პირველ წრეში 10-დან 8 შეხვედრა მოიგო და ცხრილის ლიდერია. მეგას მხოლოდ 3 გამარჯვება აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა. თანაც მეგამ მემორიალის პირველ შეხვედრაში რუსთავთან უშანსოდ წააგო და დღეს კაკტუსთან საკუთარ თავს აჯობა.

81:63 – ამ ანგარიშით აჯობა მეგამ მეტოქეს და ამაში ლომის წილი რონი როზიეს მიძღვის, რომელმაც 34 ქულა მიითვალა.

ამ ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზურისთვის კაკტუსი და რუსთავი იბრძოდნენ. უპირატესობა ქვემოქართლურ გუნდს ჰქონდა, რომელსაც ჯგუფიდან გასასვლელად 15 ქულით წაგებაც კი ჰყოფნიდა. თუმცა, მატჩის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე კაკტუსი 18 ქულით (70:52) იგებდა.

რუსთაველებმა შეძლეს და დასრულებამდე ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირეს, რამაც მათ საშუალება მისცა, ჯგუფში პირველ ადგილზე გასულიყო. კაკტუსს, მეგას და რუსთავს თანაბარი ქულები დაუგროვდათ, თუმცა ბურთების შეფარდებით კაკტუსს ბოლო ადგილი ერგო. ბურთების თანაბარი შეფარდების მქონე მეგასა და რუსთავს შორის უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში გამარჯვებულ რუსთავს მიენიჭა.

მეორე ჯგუფში კი, თითქმის ყველაფერი ნათელი იყო. თსუ-მ ჯერ ვერას მოუგო – 111:102. უნივერსიტეტელთაგან თავი გამოიჩინა გუნდის ახალბედამ, წინა სეზონში მეგაში მოთამაშე ჯიმონ ჰენსონმა, რომელმაც 36 ქულა დააგროვა. 20 ქულა და 14 მოხსნა ბექა ბექაურმა მიითვალა.

მეორე მატჩში კი, უნივერსიტეტელებმა უკვე ორბს სძლიეს – 82:71 და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. შესაბამისად, მეორეზე ვერა გავიდა.

ნახევარფინალური მატჩებში რუსთავი ვერას შეხვდება, ხოლო თსუ მეგას დაუპირისპირდება.

# ლაპორტამ ხელშეუხებელი ფეხბურთელები ჩამოთვალა

ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ გადაწყვეტილება მიიღო და რამდენიმე ფეხბურთელები ხელშეუხებელთა სიაში დაასახელა. ესენი არიან: ტერ შტეგენი, ფრენკი დე იონგი, ანსუ ფატი და მუსა დემბელე.

ჟოან ლაპორტა:

– ანსუ ფატი ჩვენი აწმყოსა და მომავლის ნაწილია. ტერ შტეგენის კონტრაქტს არ შევეხებით და არც მის გასხვისებას ვაპირებთ, ისევე, როგორც ფრენკი დე იონგის.

დემბელესთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებებს მომდევნო თვეებში დავიწყებთ. ფრანგი შესანიშნავია. ის არ იყიდება – არც 70 მილიონ ევროდ და არც სხვა ფასად.

არც ბერნარდუ სილვაში გადავიხდით 80 მილიონს – ეს ეჭვგარეშეა.

ერლინგ ჰოლანდი? ის მანჩესტერ სიტის ფეხბურთელია და დავაკვირდებით, როგორ განვითარდება. ახლა კი ლევანდოვსკი გვყავს, რომელიც დიდებულად თამაშობს.

ლაპორტამ სილვა კი ახსენა, მაგრამ ესპანური მედია იმასაც წერს, რომ გუნდი არც მარტინ სუბიმენდს იყიდის, რომელიც ჩავის სარდენის პოზიციაზე ბუსკეტსის იდეალურ შემცვლელად მიაჩნდა. თუმცა, ბარსელონა მის სანაცვლოდ 60 მილიონი ევროს ვერ გადაიხდის. მწვრთნელს ურჩევნია, დე იონგს ენდოს, ვიდრე არასწორი ტრანსფერი განახორციელოს.

სამაგიეროდ, ბარსელონა გერმანული აინტრახტის ცენტრალური მცველის, ევან ნდიკას შეძენით ინტერესდება.

23 წლის უკანახაზელს კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და მისი გახანგრძლივების შანსი მცირეა. ფრანგი ფეხბურთელი ნებისმიერ კლუბთან მოლაპარაკებისთვის მზადაა.

თუმცა, გერმანული გამოცემის ცნობით, ბარსასთან ერთად, ნდიკათი იუვენტუსი, მილანი და რამდენიმე ინგლისური კლუბი ინტერესდებიან.



რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბარსელონა თავისუფალი აგენტების ბაზარზე მომდევნო ზაფხულშიც იაქტიურებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# იტალია ვიალის გლოვობს



იტალიური ფეხბურთის ლეგენდა, ჯანლუკა ვიალი, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა, რომელიც ბოლო წლებში სიმსივნეს ებრძოდა.

ვიალი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამოკვეთილი და მთავარი ფიგურაა როგორც პროფესიონალურ ფეხბურთში, ასევე სამწვრთნელო რანგშიც.

ამპლუით თავდამსხმელმა კარიერა კრემონეზეში დაიწყო და 1980-84 წლებში თამაშობდა, სადაც 105 მატჩში 23 გოლის გატანა მოახერხა. მისი მომდევნო კლუბი სამპდორია იყო, სადაც ამ კლუბში დღემდე ლეგენდის სახელით არის შემორჩენილი. მან გენუელთა შემადგენლობაში 223 მატჩი 85 გოლი გაიტანა. ვიალიმ სამპდორიასთან ერთად სერია ა-ს, კოპა იტალიის, სუპერკოპას და უეფას თასის მოგება შეძლო.

სამპდორიიდან ვიალი იუვენტუსში გადავიდა, სადაც 102 მატჩში 38 ბურთი გაიტანა. „ბებერი ქალბატონების“ შემადგენლობაში ვიალიმ სერია ა, სუპერ კოპა, კოპა იტალია, ჩემპიონთა ლიგა და უეფას თასი მოიგო.

იტალიური კარიერის დასრულების შემდეგ კი, ჩელსიში გადავიდა, სადაც 1999 წლამდე თამაშობდა. 58 მატჩში გატანილი 21 გოლი – ასეთია ჯანლუკა ვიალის მონაგარი ლონდონურ კლუბში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიალი 1998-99 წლებში ჩელსის მოთამაშე-მწვრთნელი იყო.

რაც შეეხება მწვრთნელობას: 2001-02 წლებში უოტფორდის მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე მუშაობდა. შემდეგ იყო ხანგრძლივი პაუზა და 2019 წელს იტალიის ნაკრებში რობერტო მანჩინის ასისტენტი იყო. ამ დუეტმა 2020 წლის ევროპის ჩემპიონატი მოიგო...

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ობობას ძველებური სახელწოდება; 2. რომან „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 5. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი. 6. ეკლესია თბილისში; 11. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 13. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 18. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

**თარაზულად:** 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 8. ყალბი, საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. ხიდის მოაჯირი; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 16. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 18. ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა; 20. პოპულარული ტანსაცმელი; 21. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდას რაიონში; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 24. ვაჟა-ფშაველას პოემა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლეგრანი; 2. სეგედი; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. ვარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. ვერდერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. სოჭი.

**თარაზულად:** 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. დაკარი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ღვინიო; 18. ლეონი; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. პანკისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რეპლიკა; 2. მზისა; 3. დინამიტი; 4. ჯამილე; 5. კრიტიკა; 6. ვივიენი; 11. ცერნი; 13. მცონარა; 14. ფასანაური; 15. კორსანტია; 17. რიშარი; 18. სლავია; 19. ჯაკო.

**თარაზულად:** 7. მედუზა; 8. ფილანტროპი; 9. გლაქსო; 10. რარიტეტი; 12. ფარმაცევტი; 14. ფრანკი; 16. ერდოგანი; 18. სისატურა; 20. ფაუნა; 21. ჩაი; 22. გაბრიაძე; 23. ლოტი; 24. ჩოხატაური.

## შედეგები

7 იანვარი

ფეხბურთი

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-რეალი ........ 2:1
მალიორკა-ვალიადოლიდი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 12 | 2 | 2 | 34-6 | 38 |
| 2.რეალი | 16 | 12 | 2 | 2 | 36-16 | 38 |
| 3.სოსიედადი | 15 | 9 | 2 | 4 | 21-17 | 29 |
| 4.ვილიარეალი | 16 | 8 | 3 | 5 | 19-12 | 27 |
| 5.ატლეტიკო | 15 | 8 | 3 | 4 | 23-14 | 27 |
| 6.ბილბაო | 15 | 7 | 4 | 4 | 24-14 | 25 |
| 7.ბეტისი | 15 | 7 | 4 | 4 | 17-12 | 25 |
| 8.ოსასუნა | 15 | 7 | 2 | 6 | 16-16 | 23 |
| 9.რაიო | 15 | 6 | 5 | 4 | 22-18 | 23 |
| 10.მალიორკა | 16 | 6 | 4 | 6 | 14-15 | 22 |
| 11.ვალენსია | 16 | 5 | 4 | 7 | 23-18 | 19 |
| 12.ხირონა | 16 | 4 | 6 | 6 | 24-26 | 18 |
| 13.ვალიადოლიდი | 16 | 5 | 2 | 9 | 13-24 | 17 |
| 14.ალმერია | 15 | 5 | 2 | 8 | 17-23 | 17 |
| 15.ხეტაფე | 15 | 4 | 5 | 6 | 14-20 | 17 |
| 16.სელტა | 16 | 4 | 4 | 8 | 16-27 | 16 |
| 17.კადისი | 16 | 3 | 6 | 7 | 11-27 | 15 |
| 18.ესპანიოლი | 16 | 2 | 8 | 6 | 19-25 | 14 |
| 19.სევილია | 15 | 2 | 6 | 7 | 14-23 | 12 |
| 20.ელჩე | 16 | 0 | 4 | 12 | 10-34 | 4 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ანდორა-ოვიედო ........ 3:1
მალაგა-ტენერიფე ........ 1:1
ალავესი-ბურგოსი ........ 1:0

### იტალია. სერია ა

ფიორენტინა-სასუოლო ........ 2:1
იუვენტუსი-უდინეზე ........ 1:0
მონცა-ინტერი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 16 | 13 | 2 | 1 | 37-13 | 41 |
| 2.იუვენტუსი | 17 | 11 | 4 | 2 | 26-7 | 37 |
| 3.მილანი | 16 | 11 | 3 | 2 | 31-16 | 36 |
| 4.ინტერი | 17 | 11 | 1 | 5 | 37-24 | 34 |
| 5.ლაციო | 16 | 9 | 3 | 4 | 27-13 | 30 |
| 6.რომა | 16 | 9 | 3 | 4 | 19-14 | 30 |
| 7.ატალანტა | 16 | 8 | 4 | 4 | 24-17 | 28 |
| 8.უდინეზე | 17 | 6 | 7 | 4 | 25-19 | 25 |
| 9.ფიორენტინა | 17 | 6 | 5 | 6 | 21-22 | 23 |
| 10.ტორინო | 16 | 6 | 4 | 6 | 17-18 | 22 |
| 11.ბოლონია | 16 | 5 | 4 | 7 | 20-26 | 19 |
| 12.ლეჩე | 16 | 4 | 6 | 6 | 16-18 | 18 |
| 13.ემპოლი | 16 | 4 | 6 | 6 | 13-20 | 18 |
| 14.მონცა | 17 | 5 | 3 | 9 | 19-25 | 18 |
| 15.სალერნიტანა | 16 | 4 | 5 | 7 | 20-26 | 17 |
| 16.სასუოლო | 17 | 4 | 4 | 9 | 17-26 | 16 |
| 17.სპეცია | 16 | 3 | 5 | 8 | 16-28 | 14 |
| 18.სამპდორია | 16 | 2 | 3 | 11 | 8-28 | 9 |
| 19.კრემონეზე | 16 | 0 | 7 | 9 | 11-27 | 7 |
| 20.ვერონა | 16 | 1 | 3 | 12 | 13-30 | 6 |

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ვალვაიკი-ჰერენვენი ........ 0:0
ალკმაარი-ვიტესი ........ 1:1
სიტარდი-იგლზი ........ 0:2
პსვ-სპარტა ........ 0:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფამილიკაო-ვიზელა ........ 2:1
აროუკა-ეშტორილი ........ 2:0
გიმარაეში-რიუ ავე ........ 0:0
კასა პია-პორტუ ........ 0:0

### ბელგია. ა დივიზიონი

ეუპენი-შარლერუა ........ 1:2
ოსტენდე-სერენი ........ 1:2
სერკლი-ვესტერლო ........ 0:1
ანტვერპენი-გენტი ........ 2:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ჰატაი-ანთალია ........ 0:0
ბეშიქთაში-ქაშიმფაშა ........ 2:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.ჯონსონი ........ 2:0
როსი-ლივინგსტონი ........ 0:2
სელტიკი-კილმანროკი ........ 2:0
სტ.მირენი-ჰართსი ........ 1:1

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.7072 |
| ევრო | — 2.8464 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.2105 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.7619 |

## ამინდის პროგნოზი 9 იანვრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანჩელოტი: „ვილიარეალმა ჩვენზე უკეთესად ითამაშა“



მადრიდის რეალი სტუმრად ვილიარეალთან დამარცხდა 2:1 და კარლო ანჩელოტის გუნდმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. მატჩის შემდეგ რეალის მთავარმა მწვრთნელმა აღიარა, რომ მეტოქემ მათზე უკეთესად ითამაშა: „ვილიარეალმა გვაჯობა, მაგრამ ჩვენც გვქონდა მომენტები და შეგვეძლო, რომ ისინი გამოგვეყენებინა. ჩვენ უკვე მომავალ მატჩზე ვფიქრობთ“.

## კლოპი: „ალისონის მიმართ ნდობა არ დამიკარგავს“



ლივერპულმა თასზე საკუთარ მოედანზე ვულვერჰემპტონის დამარცხება ვერ შეძლო და მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. შეხვედრის შემდეგ იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მას ალისონ ბეკერის მიმართ ნდობა არ დაუკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ მეკარემ რამდენიმე შეცდომა დაუშვა: „სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ფეხბურთელების კრიტიკას არ ვაპირებ. არც ალისონის, რადგან ის უმაღლესი დონის მეკარეა, რომელმაც წარსულში უამრავი ქულა მოგვიტანა“.

## მესი: „მინდა, პსჟ-სთან ერთად ტიტულები მოვიგო“



ლიონელ მესი პარიზში დაბრუნდა და თავისი გუნდის შესახებ უკვე გააკეთა რამდენიმე კომენტარი. მესის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ მას ისევ აქვს ამბიციები და სურს, რომ პსჟ-სთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგოს: „მსოფლიოს ჩემპიონობამ ბედნიერი გამხადა და დიდი მოტივაცია მომცა. პსჟ-ს ტიტულების მოგება შეუძლია და ჩვენ ამას დავამტკიცებთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## რეპერის კლიპის გადაღებაზე ატეხილ სროლაში ათი ადამიანი დაიჭრა




რეპ-შემსრულებლის ფრენჩ მონტანას კლიპის გადაღების დროს, რომელიც ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამი გარდენსში მიმდინარეობდა, სროლა ატყდა. შედეგად ათი ადამიანი დაიჭრა.

აღნიშნული ინციდენტი 5 იანვარს დაახლოებით საღამოს რვა საათზე მოხდა, ერთ-ერთი რესტორანის მახლობლად. ქალაქის პოლიციის დეპარტამენტში აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს, თუმცა გამოძიების დასრულებამდე მომხდარის დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავეს. ერთ-ერთი მაშველის თქმით, ოთხმა დაჭრილმა თავად მოახერხა საავადმყოფოში მისვლა, კიდევ ექვსი დაშავებული კი სასწრაფო დახმარების მანქანებით იქნენ საავადმყოფოში გადაყვანილი.

ინციდენტის თვითმხილველმა სედ მოგულმა განაცხადა, რომ სროლის დაწყებამდე შენიშნა, რომ ხალხში მდგომ ერთ-ერთ პიროვნებას საათი და საფულე მოჰპარეს, ამას კი 13-15 გასროლა მოჰყვა. თავად რეპერს მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

●●●

ბიჭმა სახლში გოგონა მიიყვანა და მშობლებს ეუბნება:

– აი გაიცანით, ჩემი მეგობარი გოგონა ნათელაა. არ ეწევა, არ სვამს და არც იგინება.

– მართალია, ნათელა?

– დიახ.

– და რატომ არ ეწევი, არ სვამ და არ იგინები?

– მომბეზრდა.

●●●

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ეუბნება:

– ყველაფერს გავიღებდი იმისთვის, რომ ახლა შენ ჩემ გვერდით იყო.

– ახლავე მოვალ.

– სხვა დროს იყოს.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– უკვე ყელში ამოვიდა, დღე და ღამე კედლებს ხვრეტავ.

– თაროებს ვკიდებ!

– რვა წელი?

– ეს უკვე მეორეა.

●●●

ქვეყნის მეთაურთან შეხვედრაზე საწარმოს ერთ-ერთი თანამშრომელი პრემიერ-მინისტრს ეკითხება:

– რაზე ოცნებობთ?

– მარსზე გაფრენაზე.

– მეც.

– რა მაგარია, ერთნაირად ვოცნებობთ მარსზე გაფრენაზე.

– მთლად მასეც არ არის, ჩვენ ერთად ვოცნებობთ, რომ თქვენ მარსზე გაფრინდეთ.

●●●

ბოცმანი გემის კაპიტანს მოახსენებს:

– ბატონო კაპიტანო, თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს!

– ნუ აჯანჯლებ, კარგით დაიწყე.

– გემზე ერთი ვირთხაც კი აღარ გვყავს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– თამუნა საერთოდ ვერ მამჩნევს.

– შენც ბევრი ფული ესესხე, არ დაუბრუნო და მხოლოდ შენზე იფიქრებს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა გავაკეთო, ცოლი ისტერიკაში რომ ჩავარდეს?

– უბრალოდ, არაფერი არ გააკეთო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ თათა გიორგობიანმა დატოვა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ნახევარფინალი წარუმატებელი მომღერალ თათა გიორგობიანისთვის აღმოჩნდა. მან და მისმა მეწყვილემ რატი გაჩეჩილაძემ, მაყურებლის გადაწყვეტილებით, შოუ დატოვეს.

ფინალში მოსახვედრად ერთმანეთს 4 წყვილი შეეჯიბრა: თათა გიორგობიანი და რატი გაჩეჩილაძე, ბაბი კირკიტაძე და ერეკლე გირგვლიანი, ვანესა გუტიერესი და ოთო ფოლადაშვილი და ნიკო ნანიტაშვილი და ელენე დავითაია. თითოეულმა წყვილმა 2-2 ცეკვა შეასრულა. მათი შესრულება 5-კაციანმა ჟიურიმ შეაფასა – გოჩა ჩერტკოევმა, შორენა ჩერტკოევმა, ნინო სურგულაძემ, სოფო შევარდნაძემ და ირაკლი მაქაცარიამ.

ნახევარფინალის დასრულების შემდეგ, შოუდან გავარდნის 2 კანდიდატი დასახელდა – ნიკო ნანიტაშვილი და თათა გიორგობიანი. ხმის მიცემის ერთწუთიანი დროის ამოწურვის შემდეგ კი, „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ თათა გიორგობიანი გამოეთიშა.

შოუს მე-11 სეზონის ფინალი 14 იანვარს გაიმართება. გამარჯვებული საჩუქრად ბინას მიიღებს.

## „ალილო“ აღდგენილია



2-წლიანი პაუზის შემდეგ სრულიად საქართველოში „ალილო“ აღდგა. საშობაო მსვლელობა პანდემიის შემდეგ საქართველოს ყველა დიდ ქალაქში გაიმართა. მეალილოეებმა გაჭირვებულებისთვის ტკბილეული შეაგროვეს. თბილისში ალილო რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო. მეალილოეები გაჩერდნენ პარლამენტთან, საკრებულოსთან, საპატრიარქოსთან და პრეზიდენტის რეზიდენციასთან. მათ პარლამენტარებმა, საკრებულოს წევრებმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა საშობაო ნობათები გადასცეს. პატრიარქმა ილია მეორემ მეალილოეებს საპატრიარქოს ფანჯრიდან გადმოხედა და დალოცა.

„ალილო“ სამების ტაძარში დასრულდა. შეგროვილი ნობათი დახარისხდება და მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრებსა და პენიტენციურ დაწესებულებებს გადაეცემა.

## „რა? სად? როდის?“: „ანდრო სოლოღაშვილის „მოაზროვნის“ სტატუსი აღარ განახლებულა“




ინტელექტკლუბის „რა? სად? როდის?“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა ანდრო სოლოღაშვილთან დაკავშირებით. მან ამსტერდამში გარდაცვლილ ლიზა ქისტაურზე სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი სტატუსი დაწერა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

ინტელექტკლუბმა ანდრო სოლოღაშვილთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

– „რა? სად? როდის?“ შემოქმედებითმა ჯგუფმა მიიღო ბევრი შეკითხვა ანდრო სოლოღაშვილის თაობაზე, რომლის ფბ-სტატუსმაც ფეისბუქ-მომხმარებელთა, მათ შორის, ჩვენი აღშფოთებაც გამოიწვია.

გვინდა განვმარტოთ, რომ ანდრო სოლოღაშვილი თამაშობდა სატელევიზიო ინტელექტკლუბში 2014 წლის შემოდგომამდე, რის შემდეგაც მისი „მოაზროვნის“ სტატუსი აღარ განახლებულა და მომავალშიც არ იგეგმება. ანდრო სოლოღაშვილს უკვე თითქმის 9 წელია არანაირი შეხება არა აქვს ინტელექტკლუბთან, ამიტომ მოცემულ მომენტში მისი რაიმე ფორმით დაკავშირება ტელეპროექტთან „რა? სად? როდის?“ დაუშვებელი და მიუღებელია.

აქვე დავძენთ, რომ ეს საკითხი ამით ამოწურულია და მომავალში ანდრო სოლოღაშვილის თემაზე შემოქმედებითი ჯგუფი განცხადებას აღარ გააკეთებს.

## პანტომიმის თეატრი საქველმოქმედო სპექტაკლს ითამაშებს



9 იანვარს პანტომიმის თეატრი საქველმოქმედო სპექტაკლს შინდისის დედათა მონასტრის დასახმარებლად ითამაშებს.

ამირან შალიკაშვილი-უმცროსი, პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– ქველმოქმედება არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი! დაუდექით ამ პროექტს გვერდით, დაიწყეთ ახალი წელი კეთილი ნაბიჯებით. უფალი გფარავდეთ.

9 იანვარს პანტომიმის თეატრში გაიმართება საქველმოქმედო სპექტაკლი „ანარეკლი“. ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა მთლიანად შინდისის დედათა მონასტრის ანგარიშზე გადაირიცხება.

1 ნოემბერს მონასტერში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც მთლიანად დაზიანდა სახურავი და ზამთრის წინ დედები ღია ცის ქვეშ დარჩნენ.

მონასტერი მადლიერია თითოეული ადამიანის, ვინც ხანძრით გამოწვეული მძიმე შედეგების დაძლევის მიზნით მხარში ამოუდგა, გაიღო შემოწირულობა, მივიდა მონასტერში, დაეხმარა სასწრაფო სამუშაოების შესრულებაში...

თუმცა მონაზვნების საცხოვრებელი სენაკების, ბიბლიოთეკის, სამლოცველოს, სატრაპეზოსა და სხვა სივრცეების აღდგენასა და წესრიგში მოყვანას კიდევ უამრავი რესურსი სჭირდება. ძვირფასო მეგობრებო, სწორედ ამ მიზნით მოგიწოდებთ, მობრძანდეთ საქველმოქმედო სპექტაკლზე, შეიძინოთ ბილეთები და შეეწიოთ მონასტრის აღდგენის საქმეს!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



9 იანვრისათვის

**ვერძი** – შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება სამოგზაუროდ წასვლა, ქალაქგარეთ გასეირნება. **კურო** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებას თავიდან აგარიდებთ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **ტყუპები** – იყავით გულმოწყალე. დახმარებაზე უარს ნურავის ეტყვით. **კირჩხიბი** – დაღლილი და გაღიზიანებული ხართ. ემოციები მაქსიმალურად მართეთ. დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პრობლემების გადაწყვეტა, ახალი საქმის დაწყება თქვენგან დიდ ძალასა და მოთმინებას მოითხოვს. არ ეჩხუბოთ ნათესავებს. **ქალწული** – გარშემომყოფებთან უთანხმოება გაქვთ. სანამ რამეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. **მორიელი** – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიმწვავდებათ. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში დაფიქრება და აუჩქარებლობა გმართებთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **თხის რქა** – თქვენთვის დამახასიათებელი თავშეკავება დღეს აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ. კრიტიკულ შენიშვნებზე მწვავე რეაგირება საჭირო არ არის. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნეთ. მიზანს მხოლოდ შეუპოვრობისა და პრინციპულობის წყალობით მიაღწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტიტული; 4. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მსხვილი სამრეწველო-სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. ტბა უნგრეთში; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. პოლონეთის პრეზიდენტი; 20. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 5. უბანი თბილისში; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. გამკილავი შინაარსის მქონე სახელდახელოდ თქმული ლექსი ქართულ ფოლკლორში; 15. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. რაიონული ცენტრი გურიაში; 22. საქართველოში გავრცელებული, სწრაფად მზარდი გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

